

შპს სიო



შპს სიოს

მარეგულირებელი წესები და რეგულაციები

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1 წინამდებარე წესი განსაზღვრავს საზოგადოებრივ კოლეჯ შპს“სიო“-ს (შემდეგში „კოლეჯი“) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/ საგანმანათლებლო პროგრამის (შემდეგში „პროგრამა“) დაგეგმვის, შემუშავების პროცედურებს;
- 1.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები /საგანმანათლებლო პროგრამა არის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რაც გულისხმობს სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის /მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებითა და დიპლომის გაცემით;
- 1.3 პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს კოლეჯის მისიას, სტრატეგიულ გეგმას და მისი შემუშავებისა და განხორციელების გადაწყვეტილება შესაძლოა ეფუძნებოდეს როგორც პირველად წყაროებს (უშუალოდ დაწესებულების მიერ ჩატარებული მოკვლევა რეგიონის შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ ,პროფესიულ სტუდენტთა/ აპლიკანტთა გამოკითხვის შედეგები ან/და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, შეხვედრები დამსაქმებლებთან და სხვ.), ასევე მეორად წყაროებს (სხვა ორგანიზაციების/დაწესებულებების მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები და ა.შ.)
- 1.4 პროგრამის შინაარსი განისაზღვრება შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის/საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით;
- 1.5 კოლეჯის პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად.
- 1.6 პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლილ ჩარჩო დოკუმენტთან/საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობას.
- 1.7 პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს საგანმანათლებლო სტანდარტი/ჩარჩო დოკუმენტი, თუმცა შესაძლოა არსებობდეს სხვა დამატებითი სამართლებრივი საფუძვლებიც, როგორიცაა 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N 170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები“, ან სხვა საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტი.

მუხლი 2. პროგრამების დამატების მიზანშეწონილობის დადგენა და შემუშავების პროცედურა

- 2.1 პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც უნდა მოიცავდეს ბაზრის კვლევას, შეხვედრებს პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, რესურსების ანალიზსა და კონსულტაციას კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.
- 2.2 პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება უნდა ეფუძნებოდეს შემდეგგარემოებებს:
 - არსებობს მოთხოვნა ან პროგნოზირებულია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/სამუშაო პოზიციებზე, რაც დასტურდება კვლევებით ან დამსაქმებლების ინიციატივებით.
 - დაწესებულება აფართოებს პროგრამათა სპექტრს მისი ძირითადი პროფილური მიმართულების ფარგლებში;

- პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარები იძლევა თვითდასაქმების საშუალებას ან ხელს უწყობს პიროვნების პიროვნული ინტერესების რეალიზაციას ან ხელს უწყობს სოციალურ ინტეგრაციას რაც გამომდინარეობს პროგრამის შინაარსიდან;
- სხვა არსებითი გარემოებები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იქნას არგუმენტებად.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცედურა

- 3.1 დაინტერესებულმა პირმა (დაინტერესებული პირი შესაძლოა იყოს კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, პროგრამის განმახორციელებელი პირი, პარტნიორი ორგანიზაცია და სხვა) შესაძლებელია წარმოადგინოს კოლეჯის დირექტორის სახელზე არგუმენტირებული მოხსენებითი ბარათი პროგრამ(ებ)ის შემუშავების საჭიროების შესახებ. მოხსენებითი ბარათში უნდა ჩანდეს რის საფუძველზე, ან რა გარემოებებით არის განპირობებული პროგრამის შემუშავების/დანერგვის სურვილი/საჭიროება;
- 3.2 დირექტორი განიხილავს აღნიშნულს მოხსენებით ბარათის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 24 სამუშაო დღეში და თანხმობის შემთხვევაში გამოცემს შესაბამის ბრძანებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ჯგუფის შექმნის შესახებ(შემდგომში ჯგუფი), სადაც განისაზღვრება: ჯგუფის ხელმძღვანელი, პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი, ჯგუფის შემადგენლობა და სამუშაო ვადები;
- 3.3 შესაძლოა კოლეჯის დირექტორი თვითონ იყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის/საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის დაგეგმვის/შემუშავების ინიციატორი (ამ შემთხვევაშიც ინიცირება უნდა ეფუძლებოდეს პუნქტ 2.2 ჩამოთვლილ გარემოებებს), ამ შემთხვევაში დირექტორი პირდაპირ გამოცემს ბრძანებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ჯგუფის შექმნის შესახებ, სადაც განისაზღვრება: ჯგუფის ხელმძღვანელი, პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი¹, ჯგუფის შემადგენლობა და სამუშაო ვადები;
- 3.4 **პროგრამების შემუშავების ჯგუფში შესაძლოა შედიოდნენ:**
- ✓ პროგრამის ინიციატორი;
 - ✓ კოლეჯის დირექტორი;
 - ✓ სასწავლო პროცესის მენეჯერი;
 - ✓ საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი;
 - ✓ პროფესიული განათლების მასწავლებლები/პრაქტიკის ინსტრუქტორი;
 - ✓ პრაქტიკის მენეჯერი(ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - ✓ დამსაქმებლები;
 - ✓ კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები(პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციები);
 - ✓ ბიბლიოთეკარი;
 - ✓ ბუღალტერი;
 - ✓ კურსდამთავრებულები;
 - ✓ პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები;
 - ✓ დარგის ექსპერტები;
 - ✓ და სხვა.
- 3.5 ჯგუფს ხელმძღვანელობს პროგრამის შემუშავების ინიციატორი, ან პროგრამის ხელმძღვანელი;
- 3.6 **ჯგუფი ახორციელებს შემდეგ აქტივობებს:**
- 3.7.1. შეისწავლის შესაბამის საგანმანათლებლო სტანდარტს/ჩარჩო დოკუმენტს;
- 3.7.2. განსაზღვრავს პროგრამის სახელწოდებას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს. პროგრამის დასახელება უნდა ასრულებდეს პროგრამის იდენტიფიკატორის ფუნქციასა, თუმცა ის უფრო მარკეტინგული დატვირთვის მატარებელია. ამიტომაც ის შესაძლოა განსხვავდებოდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებისაგან, თუმცა არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი და არ უჩენდეს დაინტერესებულ პირებს არასწორ მოლოდინს სწავლის შედეგებთან ან სამომავლო დასაქმებასთან დაკავშირებით. პროგრამის სახელწოდება შესაძლოა იყოს როგორც დასაქმების პოზიცია, ასევე საქმიანობის ან სწავლების სფერო.

3.7.3. განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამისთვის არჩევით მოდულ(ებ)ს (იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საგანმანათლებლო სტანდარტი იძლევა არჩევითი მოდულების ინტეგრირების შესაძლებლობას). შესაძლებელია არჩევითი მოდულის სხვა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან გადმოტანაც. ამისათვის გათვალისწინებული უნდა იქნას სამი გარემოება:

- არჩევითი მოდულ(ებ)ივალიდური უნდა იყოს მოცემული პროგრამისათვის, ლოგიკურ კავშირში უნდა იყოს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
- გათვალისწინებული უნდა იქნას მოდულ(ებ)ზე დაშვების წინაპირობები; დაშვების წინაპირობა არ უნდა განსხვავდებოდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობისაგან.
- არჩევითი სტატუსის მოდულების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ დასაშვებ ოდენობას.

3.7.4.აკონკრეტებს პროგრამაში გათვალისწინებული უცხოური ენის სწავლებისათვის ენას, თუ ეს დაკონკრეტებული არაა სტანდარტით;

3.7.5.მოიძიებს და წინასწარ შეთანხმებას ახორციელებს პროგრამის განმახორციელებელ პირებთან/პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. იმისათვის, რომ პროგრამის მდგრადობა არ დადგეს ეჭვქვეშ, მიზანშეწონილია ყველა განხორციელება არ იყოს მხოლოდ ერთ პირზე დამოკიდებული. აუცილებელია პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველსაყოფად პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იყოს ერთზე მეტი დარგის სპეციალისტი.

3.7.6.მას შემდეგ რაც განისაზღვრება/შეირჩევა პროფესიული მასწავლებელი ამა თუ იმ მოდულისათვის, ჯგუფი უფლებამოსილია იგი ჩართოს პროგრამის შემუშავების ჯგუფში;

3.7.7.განახორციელებს საგანმანათლებლო სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული მოდულების ადაპტირებას;

3.7 მოდული წარმოადგენს პროგრამის დანართს და ის მტკიცდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად ,გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოდული ხორციელდება დამოუკიდებელი კურსის სახით (ასეთ შემთხვევაში, ის ცალკე უნდა დამტკიცდეს);

3.8 მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის ,მოდულის დამატებისანამოდების შემთხვევაში გამოიცემა ახალი სამართლებრივი აქტი პროგრამაში ცვლილებების შეტანისათვისაზე.

3.9 მოდულები შედგება სამი ნაწილისგან: ზოგადი ინფორმაცია ,სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები.

3.10 ზოგადი მოდულები და სავალდებულო პროფესიული მოდულები სავალდებულოა და მათი შეცვლის უფლება კოლეჯს არ გააჩნია.

3.11 მოდული მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- მოდულის სახელწოდება;
- მოდულის სტატუსი;
- ზოგადი ინფორმაცია;
- სტანდარტული ჩანაწერები;
- დამხმარე ჩანაწერები;
- საათების განაწილების სქემა;
- სასწავლო რესურსი;
- სსსმ და შშმ სტუდენტების სწავლება;
- მოდულის განმახორციელებელი;
- საჭიროების შემთხვევაში მოდულის განხორციელების ადგილი.

3.12მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილებში რაიმე ცვლილების განხორციელება პრაქტიკულად დაუშვებელია .თუ მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებში დაფიქსირდება ხარვეზ(ებ)ი, კოლეჯი უზრუნველყოფს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირებას.

3.13. საათების განაწილების ცვლილებისას დასაშვებია ცვლილება, თუმცა, არა დამოუკიდებელი საათების სასარგებლოდ (დამოუკიდებელი მუშაობის საათები არ უნდა გაიზარდოს).

3.14ჯგუფი უფლებამოსილია შეცვალოს თემატიკა მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგების კონტექსტში ან შეცვალოს სწავლის მეთოდები საკუთარი შეხედულებისამებრ. სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია

მოხდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგისა ერთად (მათ შორის, ერთი ინსტრუმენტი).

3.15 მოდულში შესაძლოა მიეთითოს მოდულის განხორციელების ადგილი კოლეჯის სარგებლობაში არსებული შესაბამისი აუდიტორია/პრაქტიკის განხორციელების ობიექტი).

3.16 მოდულის სწავლის შედეგის მიღწევა და დასტურებადი უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით.

3.17 პროგრამაში მითითებული მატერიალური რესურსი (აღჭურვილობა) უნდა იძლეოდეს მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

3.18 ჯგუფი კოლეჯის სამეურნეო სამსახურის მენეჯერთან ერთად ახორციელებს კოლეჯის მფლობელობაში არსებულ რესურსის შედარებას საგანმანათლებლო სტანდარტში/მოდულში მოცემულ ტექნიკური აღჭურვილობის სარეკომენდაციო ჩამონათვალთან და ადგენს მოსაძიებელი/შესასყიდი რესურსის სიას და დაახლოებით ხარჯთაღრიცხვას, შესასყიდი რესურსის, მასალა ნედლეულის საჭირო რაოდენობისა და ფასის გათვალისწინებით. (შესაძლოა საგანმანათლებლო სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული მატერიალური რესურსების სარეკომენდაციო ნუსხიდან რაიმეს ჩანაცვლება სხვა ალტერნატივით საკუთარი შეხედულებების მიხედვით, თუ დასაბუთებულია რესურსების ადექვატურობა სწავლის შედეგებთან მიმართებაში. შესაძლოა დატოვებულ იქნას იგივე რესურსი, რაც მოდულ(ებ)ის საწყის ვერსიაშია მითითებული. გარკვეული მატერიალური რესურსი შესაძლოა ხელმისაწვდომი იყოს პრაქტიკის ობიექტზე, ეს უნდა განისაზღვროს წინასწარ ჯგუფის მიერ და შემდგომში უნდა აისახოს შესაბამისი ხელშეკრულებაში; შესაძლოა სარეკომენდაციო ნუსხიდან რომელიმე აღჭურვილობა საერთოდ იქნას ამოღებული. ამ შემთხვევაში ჯგუფმა უნდა დაასაბუთოს, რომ აღნიშნული აღჭურვილობა ან არაა საჭირო სწავლის შედეგის მიღწევისათვის²);

3.19 ჯგუფი განსაზღვრავს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსს, შესაძლებელია უცვლელად დარჩეს მოდულებში მითითებული ლიტერატურისა და საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი, შესაძლოა ჩანაცვლებული იქნას სხვა რესურსით შესაბამისი დასაბუთებით, სათანადო პირებთან/პროგრამის განმახორციელებლებთან კონსულტაციებით. მოდულებში მითითებული ლიტერატურა უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულების ბიბლიოთეკართან ერთად ჯგუფი ადარებს კოლეჯის ფლობაში არსებულ ლიტერატურულ რესურსს და ადგენს მოსაძიებელი/შესაძენი ლიტერატურის სიას.

3.20 ჯგუფი განსაზღვრავს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის (პრაქტიკული პროექტი, საწარმოო პრაქტიკა და სხვა) განხორციელების მიდგომებს;

3.21 სასწავლო პროცესის მენეჯერთან კონსულტაციით ადგენს სასწავლო გეგმას, რომელიც უნდა იძლეოდეს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესაძლებლობას და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები (არსებობის შემთხვევაში);

3.22 იმ შემთხვევაში თუ გარკვეული მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, სასურველია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სასწავლო გეგმაში იყოს გათვალისწინებული მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალი, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა;

3.23 ჯგუფმა საჭიროების შემთხვევაში უნდა მოიძიოს და წინასწარი შეთანხმება მოახდინოს საწარმოსთან/საწარმოებთან პრაქტიკის კომპონენტის უზრუნველსაყოფად;

3.24 ჯგუფი ასევე ადგენს პროგრამის განხორციელებისათვის/ რენტაბელობისთვის პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური ზღვარს და პროგრამის ბიუჯეტს;

3.25 საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის მიხედვით ადგენს პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების მაქსიმალური კვოტას;

3.26 კოლეჯის ხარისხის განვითარების სამსახურის მენეჯერი უფლებამოსილია განიხილოს ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მასალები, ასევე მისცეს რეკომენდაციები პროგრამის სრულყოფისათვის და კანონმდებლობასთან შესაბამისობის მოყვანისათვის.

3.27 კოლეჯის ხარისხის განვითარების სამსახურის მენეჯერი დადებითი რეკომენდაციის/დასკვნის საფუძველზე, პროგრამის პროექტის საბოლოო რედაქცია დადგენილ ვადაში წარედგინება კოლეჯის დირექტორს განსახილველად/დასამტკიცებლად;

² ამის დასაბუთება საჭირო იქნება ავტორიზაციის/პროგრამის დამატების დროს

3.28 ჩარჩო დოკუმენტის/საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი დოკუმენტის პროექტი უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- პროგრამის ძირითადი დოკუმენტი;
- პროგრამის სახელწოდება
- პროგრამის შექმნის საფუძველი;
- პროგრამის მიზნები;
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა/წინაპირობები;
- კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები;
- მისაღწევი სწავლის შედეგები;
- სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება
- პროგრამის მოცულობა;
- პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა;
- რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის;
- ინფორმაცია ქართული ენის კომპეტენციის შესახებ;
- ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ინფორმაცია დანართების შესახებ (დანართების ნუსხა);
- განხორციელების ადგილი, მისამართი, კოლეჯის საკონტაქტო ინფორმაცია;

3.32. საგანმანათლებლო პროგრამას თან უნდა ერთვის:

- სასწავლო გეგმა (ქართულენოვანი სტუდენტებისთვის);
- სასწავლო გეგმა (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის);
- სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
- ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ;
- ადაპტირებული მოდულები (შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი უნდა მოიცავდეს შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ ყველა მოდულს);
- არჩევითი მოდულები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ქართული ენის მოდულები;

3.33. კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის დამტკიცების შესახებ;

3.34. თუ მოდული პროგრამის ნაწილი არაა და დაწესებულება გეგმავს მის ცალკე განხორციელებას (როგორც სასერტიფიკატო პროგრამას), ის დამტკიცდება ცალკე დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება, შეცვლა და გაუქმება

4.1. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის (პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგები), ჩარჩო დოკუმენტში/ საგანმანათლებლო სტანდარტში ,სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, დარგში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებები, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში), საკანონმდებლო ცვლილებები .ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

4.2. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს.

4.3. პროგრამაში/მოდულში ცვლილების შეტანის შემთხვევაში აღნიშნული ცვლილება მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით;

4.4. პროგრამის ცვლილების (სასწავლო გეგმის, საათების, შედეგების და სხვა) განხორციელებისათვის შესაძლოა საჭირო გახდეს ჯგუფის შექმნა. ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებებისას ხორციელდება პროგრამის შემუშავების ეტაპების ანალოგიურად.

4.5. საგანმანათლებლო სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის გაუქმების/შეცვლის შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს ამ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.

4.6. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) მონაცემების შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა / პროგრამის შეფასება პირდაპირი (პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირ იმეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით;

ბ) მონაცემების დამუშავება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი;

გ) გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა - ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა ხარისხის განვითარების სსამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების და სხვა პირების მიერ;

დ) რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა;

ე) ცვლილებების განხორციელება - აღნიშნული რეკომენდაციების იმპლემენტაციაში და აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით.

4.6.1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმები გაწერილია საზოგადოებრივ კოლეჯ შპს „სიო: ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში“;

4.7. დაინტერესებული მხარეები განისაზღვრება პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პირების მიერ.

4.8. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა საჭირო გახდეს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავება (საჭიროებისმიხედვით) ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა მუშავდება პროფესიული სტუდენტის მონაწილეობით.

4.9. საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილება დასაშვებია, თუ აღნიშნული უკავშირდება არსებულ დარგობრივ მახასიათებელში განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანას. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა არ განიხილება ახალ პროგრამად.

4.10. პროფესიულ სტუდენტთა კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, ცვლილების განხორციელებამდე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების წავლას აგრძელებენ მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, საჭიროების შემთხვევაში განსხვავებული სასწავლო გეგმით, ისე, რომ მიღწეული იქნას მოდიფიცირებული პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები.

4.11 საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება შესაბამისი უწყებების ინფორმირებას განხორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.12. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში (მათ შორის ავტორიზაციის დაკარგვის შემთხვევაში), კოლეჯისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა. შესაბამისად, კოლეჯში არსებობს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების გათვალისწინებით.

4.13. პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას კოლეჯი ახორციელებს შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

ა) მისცეს მიმდინარე საფეხურის დასრულების შესაძლებლობა გასაუქმებელი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს. ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება არ ხორციელდება.

ბ) ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის მობილობის პროცესს. ასეთი შემთხვევებისათვის დაწესებულება აფორმებს ხელშეკრულებას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ ანალოგიურ/მსგავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

- გ) შესთავაზოს პროფესიულ სტუდენტს ამავე ან სხვა დაწესებულებაში, იმავე ან მსგავსი მიმართულებისა და სპეციალობის ფარგლებში განხორციელებულ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა მობილობის წესით;
- დ) უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ რეალიზებულ ირელევანტური საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;
- ე) გააცნოს სტუდენტს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მობილობის წესი, ვადები და პირობები.

4.14. დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, პროფესიული სტუდენტთა ინტერესების დაცვისა და შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, სასწავლო პროცესის მენეჯერი ვალდებულია შეისწავლოს გასაუქმებელი საგანმანათლებლო პროგრამის თავისებადობა მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამასთან გაერთიანების ან ახალი საგანმანათლებლო პროგრამით ჩანაცვლების შესაძლებლობის საკითხი და შესაბამისი დასკვნა წარუდგინოს დირექტორს.

თავი 2. პროფესიული სტუდენტი

მუხლი 1. პროფესიული სტუდენტი

1. პროფესიული სტუდენტი (შემდგომში სტუდენტი) არის პირი, რომელიც ჩარიცხულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად რექტორის ბრძანებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემის შემდეგ პროფესიულ სტუდენტთან, არასრულწლოვნის/შშმ/სსმ პირის შემთხვევაში კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება სასწავლო ხელშეკრულება.
3. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, კოლეჯში საჭიროების მიხედვით იგეგმება ორცვლიანი რეჟიმით სწავლება, პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ საშუალება თვითონ აირჩიონ სწავლების გრაფიკი, მხედველობაში მიიღება უმრავლესობის აზრი.
4. კოლეჯი სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან სწავლების საწყის ეტაპზე ან /და ყველა ეტაპზე, როცა სასწავლო გარემო იცვლება, ამის უზრუნველსაყოფად ხორციელდება: გაცნობითი სახის შეხვედრების ჩატარება მიღებულ სტუდენტთა ყველა ნაკადთან, სადაც შედგება პრეზენტაციები კოლეჯის სერვისებისა და ზოგადად არსებული შესაძლებლობების, მათი ვალდებულებების, შინაგანაწესის მოთხოვნების, სასწავლო პროცესის თავისებურებების, ეთიკის ნორმების, უსაფრთხოების და სხვა წესების შესახებ; სასწავლო პროცესის სამსახურია ვალდებული ხელი შეუწყოს სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან ან შესთავაზოს სტუდენტს შესაბამისი სერვისები/მხარდაჭერა საჭიროების მიხედვით კომპეტენციის ფარგლებში.

5. პროფესიული სტუდენტის უფლებები:

- 5.1. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მიიღოს მისი ინტერესების შესაბამისი ხარისხიანი განათლება, აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო და პრაქტიკულ საქმიანობაში;
- 5.2 კანონმდებლობითა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით დადგენილი წესებით პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია:
 - ✓ მოსთხოვოს კოლეჯის ადმინისტრაციას კანონმდებლობით, კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით, პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებითა და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;
 - ✓ მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება;
 - ✓ საქართველოს კანონმდებლობითა და შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების/იურიდიული პირის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ისარგებლოს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით;
 - ✓ საკუთარი ინტერესების შესაბამისად თავისუფლად დააფუძნოს პროფესიული და სხვა სტუდენტური ორგანიზაციები ან/და გაერთიანდეს მათში;
 - ✓ განახორციელოს მისთვის ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.
 - ✓ პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.
 - ✓ პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული

საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.

- ✓ პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიმართ დისციპლინური წარმოება დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი უნდა იყოს. იგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით/იურიდიული პირის მიერ დადგენილი წესით ან/და შინაგანაწესით განსაზღვრულ შემთხვევებში და გათვალისწინებული წესით.
- ✓ პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს საგანმანათლებლო დაწესებულების/იურიდიული პირის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.
- ✓ ისარგებლოს კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- ✓ მიიღოს კოლეჯის ადმინისტრაციისგან ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ;
- ✓ თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი;
- ✓ მიიღოს მონაწილეობა ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავებაში;
- ✓ მიიღოს მონაწილეობა კოლეჯის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასებაში;
- ✓ გაასაჩივროს დადგენილი წესით მიღებული შეფასება, შეფასების პროცედურის დარღვევა.

6. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

- ✓ დაიცვას კანონმდებლობის, კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებისა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები;
- ✓ შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მოთხოვნები;
- ✓ შეასრულოს კოლეჯთან დადებული სასწავლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- ✓ დაწესებულების მიერ განსაზღვრული სასწავლო განრიგით დაესწროს საკონტაქტო საათებს და შეფასების საათებს;
- ✓ დაიცვას სხვა პირების უფლებები და კანონიერი ინტერესები;
- ✓ სასურველი შედეგის მიღწევის მიზნით, არ გამოიყენოს პლაგიატი;
- ✓ გაუფრთხილდეს კოლეჯის ინფრასტრუქტურას;
- ✓ იმოქმედოს იმგვარად, რომ არ შეურაცხყოს კოლეჯის პრესტიჟი.
- ✓ შეასრულოს შინაგანაწესით, პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების წესით და სხვა შიდა ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრული მოვალეობები.

მუხლი 2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად ითვლება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
 - ა) პირადი ან/და კანონიერი წარმომადგენლის(არასრულწლოვნის შემთხვევაში) წერილობითი განცხადება;
 - ბ) სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობა;
 - გ) უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელება;
 - დ) სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში საჭირო კრედიტების აუთვისებლობა;
 - ე) დირექტორის მიერ პროფესიული სტუდენტის მიმართ განხორციელებული დისციპლინური დევნის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება;
 - ვ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, თუ დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა.
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სწავლისათვის გადახდილი თანხა არ უბრუნდება, მაგრამ სწავლის გაგრძელებისას ჩაეთვლება სწავლის საფასურში;
4. პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი აქვს შეჩერებული, თუ მოითხოვს პირად საქმეში არსებულ დოკუმენტაციას, დაწესებულება უზრუნველყოფს მის მიწოდებას.
5. პროფესიული სტუდენტს სტატუსი შესაძლოა შეუჩერდეს არაუმეტეს 5 (ხუთი) წლის ვადით. ამ ვადაში სტატუსის აღდგენის გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში ხდება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.
6. სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების მონაცემები კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.
7. დაუშვებელია გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება.
8. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება დაწესებულების სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში. სტუდენტთა რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, კოლეჯი

ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების რეგისტრაცია.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, თუ აღმოფხვრლი იქნება სტატუსის შეჩერების საფუძველი 5 მუხლის 2 პუნქტის ა,ბ,გ და ე ქვეპუნქტის შემთხვევაში, ხოლო დ ქვეპუნქტის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის პირადი განცხადების საფუძველზე სასწავლო პროცესის მენეჯერის მოხსენებითი ბარათის შესაბამისად დირექტორის ბრძანებით.
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, სტუდენტი სწავლას აგრძელებს ინდივიდუალური გეგმით/ცხრილით პროგრამის იმ ეტაპიდან როდესაც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლის გადახდილი საფასური;
4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა დირექტორის ბრძანება, ბრძანების მონაცემები კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.
5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა იმ დაწესებულებაში, სადაც პირს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.
6. თუ პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის იმავე დაწესებულებაში, რომელშიც პირს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, დაწესებულება აღარ ახორციელებს იმ პროგრამას, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია ამ წესით გათვალისწინებული პირობების დაცვით, სხვა პროგრამაზე მობილობის განხორციელების გზით.

მუხლი 4 . პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტად განიხილება კოლეჯსა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლებად.
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
 - ა) პირადი ან/და კანონიერი წარმომადგენლის (არასრულწლოვნის შემთხვევაში) წერილობითი განცხადება;
 - ბ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
 - გ) გარდაცვალება;
 - დ) წინამდებარე წესის მე-44 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შეთხვევა;
 - ე) ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;
 - ვ) დოკუმენტის წარმოუდგენლობა დამატებით ვადებში.
3. პირს, რომელსაც შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და მოითხოვს პირად საქმეში არსებულ დოკუმენტაციას, დაწესებულება უზრუნველყოფს მის მიწოდებას.
4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია დადგენილი წესით.
5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოიცემა დირექტორის ბრძანება, ბრძანების მონაცემები კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

მუხლი 5. მობილობა

1. პროფესიული სტუდენტის მობილობის წესი (შემდგომში – წესი) არეგულირებს პროფესიული სტუდენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებიდან (შემდგომში – დაწესებულება) სხვა დაწესებულებაში (შემდგომში – გარე მობილობა) და მის ფარგლებში ერთი პროფესიული ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამიდან (შემდგომში – პროგრამა) სხვა პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდგომში – შიდა მობილობა) გადასვლის პროცედურას.
2. გარე მობილობისა და შიდა მობილობის (შემდგომში – მობილობა) უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის ამ დაწესებულების პროფესიული სტუდენტი.
3. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
4. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული

კვალიფიკაციების ჩარჩოს“ იმავე ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

5. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოემოზა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.

6. გარე მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს იმავე დაწესებულებას. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ პროგრამის სახელწოდება, რომელზეც პირს სურს გადასვლა.

7. მიმღები დაწესებულება უფლებამოსილია სისტემიდან დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის, არსებობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების საფუძვლების და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.

8. დაწესებულება უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:

ა) დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას მიმღები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;

ბ) მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

9. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, გარდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №198/ნ 2019 წლის 20 სექტემბერი, მუხლი - 2-ის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც დასაშვებია ზღვრული რაოდენობის გადაჭარბება არაუმეტეს 25 %-ით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამისი პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

10. მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება პირის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.

11. დაწესებულება ადგენს მის მიერ შეთავაზებულ პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას საქართველოს კანონმდებლობითა და დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტით დადგენილი წესის შესაბამისად, კერძოდ მობილობის განხორციელებამდე სასწავლო პროცესის მენეჯერი შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ვალდებულია შეამოწმოს პროფესიული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობა მიმღები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარიცხვის წინაპირობებთან, ასევე ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების/სწავლის შედეგების შესაბამისობას იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან, რომელზეც მობილობის სურვილი გამოთქვა დაინტერესებულმა, ხარისხის სასწავლო პროცესის მენეჯერის დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში – იმავე დაწესებულების სხვა პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა. საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა მოხდება პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით.

12. დაწესებულება, ამ წესით გათვალისწინებული პირობებისა და მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, გამოსცემს სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის თაობაზე და ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს სისტემაში.

13. სისტემის მონაცემების საფუძველზე ის დაწესებულება, საიდანაც გადადის პროფესიული სტუდენტი, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში ის დაწესებულება, რომლის ერთი პროგრამიდან სხვა პროგრამაზეც გადადის პროფესიული სტუდენტი, გამოსცემს სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე და ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს სისტემაში.

14. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებაში.

15. დაწესებულებისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში ამ დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, მათ შორის ისინი, ვისაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში.

16. დაწესებულების ავტორიზაციის ვადის გასვლით დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის, ასევე დაწესებულების უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაციის შემთხვევაში ამ

დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, მათ შორის, ისინი, ვისაც ავტორიზაციის ვადის გასვლამდე ან დაწესებულების უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაციამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის ვადის გასვლიდან/ლიკვიდაციიდან 5 წლის განმავლობაში.

მუხლი 6. მიღებული განათლების აღიარება

1. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მიზანი -

ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (შემდგომში - ფორმალური განათლების აღიარება) მიზანია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით - დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებული სწავლის შედეგების აღიარებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.

2. ფორმალური განათლების აღიარებას ახდენს საგანმანათლებლო დაწესებულება (შემდგომში - დაწესებულება) ამ წესით დადგენილი მოთხოვნების საფუძველზე დაწესებულების მიერ შემუშავებული ფორმალური განათლების აღიარების წესის შესაბამისად.

3. ფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია, თუ:

ა) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და მიღწეული სწავლის შედეგები ერთნაირადაა ფორმულირებული ან ფორმულირებაში არსებობს მცირედი განსხვავება, რომელიც გამოწვეულია ენობრივი თავისებურებით ან/და სწავლის შედეგების განსხვავებული სტრუქტურირებით და ხელს არ უშლის მათ იდენტურად მიჩნევას. ამასთან, სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით ერთმანეთთან თავსებადია;

ბ) მიღწეული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით აღემატება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

4. ფორმალური განათლების აღიარების მსურველი (შემდგომში - განმცხადებელი) უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ.

5. ფორმალური განათლების აღიარების ეტაპები და ვადა : ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა შეადგენს 1 თვეს განცხადების წარმოებაში მიღებიდან.

6. ფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) დაწესებულებისთვის განცხადების წარდგენა;

ბ) კომისიის მიერ განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/ შეფასება; გ) კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება;

დ) დაწესებულების მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

7. დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ფორმალური განათლების აღიარების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობა.

8. **განცხადების წარდგენა** - განმცხადებლის მიერ დაწესებულებისათვის წერილობითი ფორმით წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) დაწესებულების დასახელებას;

ბ) განმცხადებლის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს;

გ) განმცხადებლის ელექტრონული ფოსტის მისამართს;

დ) განმცხადებლის ტელეფონის ნომერს;

ე) განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს;

ვ) მოთხოვნას, კერძოდ, მითითებას იმ სწავლის შედეგზე/შედეგებზე, რომლის აღიარებასაც ითხოვს განმცხადებელი;

ზ) განმცხადებლის ხელმოწერას;

თ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას.

12.9. განცხადებას უნდა ერთოდეს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) თუ აღიარების მსურველი წარმოდგენილია წარმომადგენლით, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და მისი დანართი (ასეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში)/უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი - დიპლომი და მისი დანართი/ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი) ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან ცნობა, რომელიც ადასტურებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულ კონკრეტულ სწავლის შედეგებს, გარდა ამ მუხლის

მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

10. განცხადებას შესაძლებელია ერთოდეს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დასადგენად დაწესებულების/პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი იურიდიული პირის მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ასაღიარებელი სწავლის შედეგის მიღწევის თაობაზე, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

11. დაწესებულება არ არის უფლებამოსილი განმცხადებელს მოსთხოვოს ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაცია იმ სწავლის შედეგების აღიარების ნაწილში, რომელიც მიღწეულ იქნა ამავე დაწესებულების მიერ განხორციელებული ფორმალური განათლების ფარგლებში.

12. დაწესებულება 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ მუხლის მოთხოვნებთან. თუ განმცხადებელი დაწესებულებას არ წარუდგენს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე დოკუმენტს, დაწესებულება განმცხადებელს განუსაზღვრავს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

13. დაწესებულების მიერ ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულიად ითვლება.

14. თუ დაწესებულების მიერ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს, დაწესებულება უფლებამოსილია გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

15. კომისიის მიერ განცხადებისა და დოკუმენტაციის განხილვა/შეფასება

15.1. განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ დაწესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალურადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია, რომელიც უზრუნველყოფს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას.

15.2. კომისია უნდა შედგეს არანაკლებ 3 წევრისგან. დაწესებულება ვალდებულია კომისიის შემადგენლობაში უზრუნველყოს შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელი პირის მონაწილეობა. დაწესებულებას უფლება აქვს განმცხადებელი მოიწვიოს კომისიის განხილვაზე, თუ მისი მონაწილეობა აუცილებელია წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

15.3. კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის წევრები. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

15.4. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულიად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

15.5. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

15.6. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს განმცხადებელთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა.

15.7. კომისია კენჭს უყრის თვითაცილების/აცილების შესახებ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს კომისიის ის წევრი, რომელმაც დააყენა თვითაცილება/რომლის მიმართაც დაყენებულია აცილება. კომისიის წევრი თვითაცილებულად/აცილებულად ითვლება კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

15.8. კომისია უზრუნველყოფს წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის შესწავლას იმის დასადგენად, არსებობს თუ არა ამ წესით გათვალისწინებული აღიარების საფუძვლები. იგი არ არის უფლებამოსილი განმცხადებლის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით განახორციელოს მისი შეფასება.

16. გადაწყვეტილების მიღება

16.1. კომისია წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარების შესახებ;

ბ) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

16.2. განმცხადებელს აღიარების გზით კრედიტი ენიჭება მოდულით/სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგის აღიარების შემთხვევაში. სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში პირს ენიჭება იმ პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, რომლის მიზნებისთვისაც მოხდა სწავლის შედეგების აღიარება.

16.3. კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მითითებული უნდა იყოს ის სწავლის შედეგი/შედეგები, რომელთა აღიარებაც განხორციელდა ან რომელთა აღიარებაზეც განმცხადებელს ეთქვა უარი შესაბამისი დასაბუთებით.

16.4. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ გამოიცემა

ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) დაწესებულების დასახელება;

ბ) განმცხადებლის ვინაობა;

გ) იმ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის/სასწავლო კურსის სახელწოდება, რომლის სწავლის შედეგები უღიარდა/სწავლის შედეგები არ უღიარდა პროფესიულ სტუდენტს;

დ) აღიარებული კრედიტების რაოდენობა;

ე) გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი; ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა.

16.5. დაწესებულება ვალდებულია, გადაწყვეტილება განმცხადებელს აცნობოს ინდივიდუალურადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. ფორმალური განათლების აღიარების შედეგების განთავსება მართვის საინფორმაციო სისტემაში ფორმალური განათლების აღიარების შედეგები და წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები აისახება სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ წარმოებულ შესაბამის განათლების მართვის საინფორმაციო

თავი 3. პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

1. მუხლი 1. ზოგადი დებულება

1.1 საზოგადოებრივი კოლეჯი შპს „სიო“-ს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (შემდგომში - „მეთოდოლოგია“) ეფუძნება, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონს, ავტორიზაციის სტანდარტებს და კოლეჯის შიდა სამართლებრივ აქტებს

მუხლი 2. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრელი ფაქტორები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები:

1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა;
2. A გარემო/თეორიული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე - სტუდენტების რაოდენობა თეორიულ სამეცადინო ოთახში გაიანგარიშება შემდეგი პრინციპით:
 - ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სამუშაო ადგილების რაოდენობა;
 - კონკრეტული პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა;

3. B გარემო/კომპიუტერული კლასი გამოიყენება ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/საგანმანათლებლო პროგრამისათვის და გაანგარიშდება სტუდენტთა საერთო რაოდენობაზე:

• ყოველ პროფესიულ სტუდენტზე ერთი კომპიუტერი სრული კომპლექტაციით;

4. C გარემო/პრაქტიკისათვის განკუთვნილი სივრცე --- სტუდენტების რაოდენობა პრაქტიკის ოთახში გაიანგარიშება შემდეგი პრინციპით:

- ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოს ფართი;
- კონკრეტული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით/საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა;

შენიშვნა: მოდულში შესაძლებელია იყოს ორი ან სამი გარემო ერთად, ამ შემთხვევაში მიეთითება შესაბამისი აღნიშვნა (A და C; ან B და C; ან A და B; ან A, B და C)

5. ელექტრონული სწავლების შესაძლებლობების ანალიზი და ასევე იმ შემთხვევაში, თუ ოთახი გამოიყენება ორი ან მეტი პროგრამისა და ჯგუფისათვის, ფართი და აღჭურვილობა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ ყოველმა პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მეცადინეობაზე დასწრება შეუფერხებლად;

6. თუ ერთი და იგივე რესურსი გამოიყენება სხვადასხვა პროგრამის მიზნებისათვის, კონტინგენტის დასაბუთებისას გათვალისწინებული უნდა იქნას მისი შესაძლებლობები/გამტარუნარიანობა თითოეულ პროგრამასთან მიმართებაში. იმ შემთხვევაში თუ ერთი და იგივე პროგრამა იზიარებს საერთო პრაქტიკის ბაზას, უნდა ჩანდეს ამ ბაზის გამოყენების მექანიზმი ორივე პროგრამის მიზნებისათვის;

7. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა(მოდულებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო, ავტორიზაციის ვადით მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებული (დადასტურებული შესაბამისი მემორანდუმებით

და ხელშეკრულებებით), სათანადო აღჭურვილობის სასწავლო ფართი, ასევე კომპიუტერული (ციფრული) ტექნიკა, სპორტული, შემოქმედებითი, თუ სხვა არასააუდიტორიო აქტივობებისათვის საჭირო სივრცეების ხელმისაწვდომობა, რაც სამუშაო საათებში, ორ ცვლაში უნდა იძლეოდეს, სწავლასწავლების წინასწარ განსაზღვრული შედეგის უზრუნველყოფას)

8. პრაქტიკის ობიექტ(ებ)ის/პარტნიორ საწარმო(ებ)ის შესაძლებლობები(პრაქტიკის ბაზებისა და ბაზებზე არსებული პრაქტიკის ინსტრუქტორების (პრაქტიკის ხელმძღვანელების) რაოდენობა);
9. კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება პრაქტიკის ობიექტ(ებ)თან/პარტნიორ საწარმოსთან გაფორმებული მემორანდუმის/ხელშეკრულების საფუძველზე, პროფესიულ სტუდენტთა იმ მაქსიმალური რაოდენობის გათვალისწინებით(პრაქტიკის ინსტრუქტორებისა და პროფესიული სტუდენტების ლოგიკური რაოდენობრივი შეფარდებით), რაც პრაქტიკის ობიექტ(ებ)ს/პარტნიორ საწარმო(ებ)ს შეუძლია მიიღოს;
10. სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას ასევე გაითვალისწინება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სპეციალური მოთხოვნები(ასეთის არსებობის შემთხვევაში).
11. პროგრამის ავტორიზაციის ვადის ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთა პროგრესის შესაბამისად სასწავლო წლების მიხედვით სტუდენტთა გადანაწილების შესაძლებლობას;
12. საგანმანათლებლო პროგრამის დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა;
13. არსებული მოთხოვნა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები);
14. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და ზრდის (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოვების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობის გაზრდის და ა.შ.) შესაძლებლობები და სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ნაბიჯები.
15. საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და ზრდის შესაძლებლობები იმ შემთხვევაში, თუ იკვეთება საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნის ზრდა (წინა წლების მონაცემებით იკვეთება პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია, ასევე, ბაზარზე იკვეთება კონკრეტული დარგის სპეციალისტებზე გაზრდილი მოთხოვნა). ამ შემთხვევაში განიხილება პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობის გაზრდის, პროგრამისთვის საჭირო საბიბლიოთეკო სივრცისა და ფონდის გამდიდრების, კომპიუტერული კლასების შექმნისა ან/და კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფის, ასევე, კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი დამატებითი აუდიტორიების/გარემოს გამოყოფის, პრაქტიკის ბაზებთან თანამშრომლობის გაფართოვების შესაძლებლობები.

მუხლი 3. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოანგარიშება

3.1. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს ხდება აღნიშნული ასპექტების შესაბამისობის დადგენა სამიზნე ნიშნულებთან;

3.2. პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას გარკვეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე/საგანმანათლებლო პროგრამებზე შესაძლოა განსაზღვრავდეს პროგრამით დადგენილი მოთხოვნები პროფესიული სტუდენტისა და პროგრამის განმახორციელებელ პირთა თანაფარდობის შესახებ და სხვა.

3.3. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას უნდა გათვალისწინებულ იქნას სწავლება ორ ცვლაში სწავლის შესაძლებლობა; ასევე ცხრილის შედგენის შესაძლებლობა შეჭრილი ცხრილის პრინციპით.

3.4. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას უნდა დაანგარიშდეს A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;

A სასწავლო გარემო - ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ იტვირთება 50%-ით, რაც საშუალებას იძლევა ერთ ცვლაში მიღებული იქნეს A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში მუშაობის გათვალისწინებით - ოთხმაგი რაოდენობა;

B სასწავლო გარემოში სტუდენტი წლიური 60 კრედიტიდან ითვისებს საშუალოდ 3-5 კრედიტს, შესაბამისად, B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში შეიძლება დაიტვირთოს საშუალოდ 5-6%-ით, რაც კოლეჯს

საშუალებას აძლევს ერთ ცვლაში მიიღოს B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების 20-მაგი, ხოლო ორ ცვლაში მუშაობის გათვალისწინებით 40-მაგი რაოდენობა;

3.5. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინამდებარე მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით განსაზღვრულ რაოდენობებს შორის უმცირესს.

3.6. კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემთხვევა, როდესაც ერთიდაიგივე გარემო რამდენიმე პროგრამისათვის გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში გარემოს დატვირთვის რესურსი უნდა გადანაწილდეს ყველა პროგრამაზე;

3.7. მოდულის/სწავლის შედეგების განხორციელება უნდა მოხდეს პრაქტიკის ობიექტზე, მაშინ ობიექტზე უნდა შეფასდეს ამ მოდულის სარეკომენდაციო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ჩამონათვალის შესაბამისი აღჭურვილობა ან მისი ალტერნატივა და ეს უნდა გაიწეროს ხელშეკრულების დანართში ჩამონათვალით.

3.8. ვინაიდან საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული თანაფარდობები პირობითია (სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს) და არ არსებობს რაიმე სახის წინასწარ დადგენილი თანაფარდობა, თუ რამდენ სტუდენტზე რამდენი მატერიალური რესურსი უნდა მოდიოდეს, გარდა ცალკეული გამონაღისებისა, უმნიშვნელოვანესია ზღვრული რაოდენობის დაანგარიშებისას პროგრამის შემუშავების ჯგუფის მიერ (საჭიროების შემთხვევაში დამატებით დარგის წარმომადგენლების ჩართულობით) დადგინდეს, თუ კოლეჯის ხელმისაწვდომი მატერიალურ ტექნიკური რესურსით რამდენი სტუდენტის სრულფასოვანი სწავლება შეიძლება იქნეს უზრუნველყოფილი.

თავი 4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები

მუხლი 1 . პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის დაგეგმვა და ორგანიზება

1. წინამდებარე წესი არეგულირებს დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურებს.

2. აღნიშნული წესის მიზანია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე ორიენტირებული, ობიექტური, გამჭვირვალე მიდგომით, პროფესიულ სტუდენტთა მოზიდვისა და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/6 ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების, "ამ წესის და თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობის მოთხოვნათა დაცვით, დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე.

4. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება

4.1. დაწესებულება დაინტერესებულ პირებს მომართვის შემთხვევაში აცნობს:

ა) პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობებს;

ბ) კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს და შერჩევის თავისებურებებს;

გ) პროგრამაზე რეგისტრაციის პროცედურებს და საჭიროების შემთხვევაში ეხმარება რეგისტრაციაში;

დ) საგანმანათლებლო სერვისებს, პროგრამის თავისებურებებს (მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელების, დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი, პროგრამის განხორციელების ფორმა, დაფინანსების შესაძლებლობების) და სხვა.

4.2. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში.

მუხლი 2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები

1. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება

ბ) აპლიკანტთა რეგისტრაცია;

გ) შერჩევა;

დ) აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა;

ე) შედეგების გამოცხადება და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება;

ვ) დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 3 . დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება

1. პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით კოლეჯი დადგენილ ვადებში ავსებს ანკეტა-კითხვარს ელექტრონულად.

2. ანკეტა-კითხვარი წარმოადგენს დაწესებულების მიერ მიღების გამოცხადების მიზნით შექმნილ მოდულს, რომელშიც აისახება ინფორმაცია დაწესებულების, მისი პროგრამების, მისაღები ადგილებისა და სხვა პირობების შესახებ. ანკეტა-კითხვარი არის აპლიკანტთა რეგისტრაციის მიზნით შექმნილი სარეგისტრაციო სისტემის ინფორმაციის წყარო. ანკეტა-კითხვარის ფორმა მტკიცდება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 4. აპლიკანტთა რეგისტრაცია

1. პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი გადის ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში www.vet.emis.ge და რეგისტრირდება აპლიკანტად.
2. აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.
3. რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა.
4. რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დაწესებულების მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.
5. შერჩევის პერიოდი და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 5. აპლიკანტთა შერჩევის ფორმები

1. აპლიკანტთა შერჩევა გულისხმობს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასებას.
2. შერჩევა ხორციელდება ქართულ ენაზე, გარდა კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევებისა;
3. შერჩევის პერიოდი, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით.
4. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. პროცედურები განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/5 ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები" შესაბამისად.

მუხლი 6. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა

1. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლება აქვთ:
 - ა) უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;
 - ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს უცხო ქვეყნის ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
 - გ) საქართველოს მოქალაქეები და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 2013 მუხლით გათვალისწინებული პირები, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.
2. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე გათვალისწინებულ პირებზე ვრცელდება რეგისტრაციისთვის ამ წესით განსაზღვრული პირობები, ხოლო შერჩევის წესი და პირობები განისაზღვრება ამ წესის შესაბამისად.
3. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე შერჩეული აპლიკანტების შესახებ ინფორმაციას დაწესებულება ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში ამ წესით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში.
4. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე შერჩეული აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ინფორმაცია აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე გათვალისწინებული აპლიკანტების ჩარიცხვა სრულდება დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების გათვალისწინებულ ეტაპამდე.

შიდა შერჩევის ფორმა - გასაუბრება

მუხლი 7. გასაუბრებაში მონაწილეობის უფლება

1. გასაუბრებაში მონაწილეობს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტი, რომელზე შერჩევის ფორმად კონკრეტული მიღებისთვის კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია გასაუბრება.
2. გასაუბრებას ატარებს კომისია, რომელიც თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მტკიცდება დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტით.

მუხლი 8 კომისიის ფორმირება და გასაუბრება

- 1.კომისია შედგება არანაკლებ სამი წევრისგან, რომლის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და წევრ(ებ)ი. აუცილებელია კომისიაში შედიოდეს კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, დარგის სპეციალისტი(პროგრამის ხელმძღვანელი ან დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი) და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი.
- 2.კომისიის წევრი ვალდებულია ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში გააკეთოს განცხადება თვითაცილების შესახებ.
3. შეფასება არის დიფერენცირებული და დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
- 4.გასაუბრებისას კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს აპლიკანტს, წინასწარ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით -ბრძანებით.
- 5.საკონკურსო კომისიის მიერ ხდება შედეგების შეჯერება და პროგრამის ფარგლებში მისაღები კვოტის შესაბამისად იმ აპლიკანტთა გამოვლენა, რომელთაც გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი-რეიტინგული სიებით.
- 6.საგანმანათლებლო პროგრამებზე გასაუბრების შედეგები აისახება შესაბამის კომისიის სხდომის ოქმში. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
7. მართვის სისტემა, რეიტინგულ სიას ადგენს, აპლიკანტის შეფასების შედეგების, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსისა და განათლების მიღწეული დონის გათვალისწინებით, რომელიც მტკიცდება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
8. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი ინახავს გასაუბრების შედეგების ამსახველ დოკუმენტებს ჩარიცხვის პროცესის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში.

შიდა შერჩევის ფორმა - ტესტირება

მუხლი 9. ტესტირებაში მონაწილეობის უფლება

1.ტესტირებაში მონაწილეობს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტი, რომელზე შერჩევის ფორმად კონკრეტული მიღებისთვის კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია ტესტირება.

მუხლი 10. ტესტირების შინაარსი

- 1.ტესტირების ფარგლებში ჩასაბარებელი საგნის/საგანთა ჯგუფი, ყოველ კონკრეტულ მიღებისთვის განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით;
2. სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროს შესაბამისად, კოლეჯური უნარების ტესტირება შეიძლება დაწესდეს:
 - ა) წიგნიერებაში;
 - ბ) რაოდენობრივ წიგნიერებაში;
 - გ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (ქიმიის კომპონენტი და/ან ფიზიკის კომპონენტი და/ან ბიოლოგიის კომპონენტი).
- 3.თუ პროგრამისთვის განისაზღვრა საგანთა ჯგუფი, აპლიკანტი აბარებს ამ საგანთა ჯგუფში შემავალ ყველა საგანს.
- 4.თითოეული პროგრამისთვის, ყოველ კონკრეტული მიღებისთვის საგამოცდო კომისიის მიერ შემუშავებული ტესტი მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
- 5.ტესტის მონაცემთა ბაზა დაცულია და აკრძალულია კითხვების ბაზის გასაჯაროება ნებისმიერი ფორმით.
- 6.ტესტირება შესაძლებელია ჩატარდეს როგორც ელექტრონული/კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით, ასევე არაელექტრონული ფორმით საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
- 7.ტესტირების ჩატარების ფორმა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, საგამოცდო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.

მუხლი 11. საგამოცდო კომისიის ფორმირება

- 1.საგამოცდო კომისია მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
- 2.საგამოცდო კომისია განისაზღვრება მინიმუმ სამი წევრით, რომლის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და წევრ(ებ)ი;
- 3.საგამოცდო კომისიაში შედის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, დარგის სპეციალისტები (პროგრამის ხელმძღვანელი/პროფესიული განათლების მასწავლებელი/დამსაქმებელი) და მინიმუმ ერთი წევრი პარტნიორი ორგანიზაციიდან/თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციიდან.
- 4.კომისიის წევრი ვალდებულია ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში გააკეთოს განცხადება თვითაცილების შესახებ.
- 5.საგამოცდო კომისიის მიერ ხდება პროგრამის ფარგლებში მისაღები კვოტის შესაბამისად იმ აპლიკანტთა გამოვლენა, რომელთაც გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - რეიტინგული სიებით უმაღლესიდან უმდაბლესისკენ.

6. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ტესტირების საბოლოო შედეგები აისახება შესაბამის კომისიის სხდომის ოქმში. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავჯდომარე და მდივანი.

მუხლი 12. შეფასების მეთოდები და ეტაპები

1. ტესტირებისთვის განკუთვნილი საკითხების შემუშავება ხდება პროგრამების მიხედვით და მათი რაოდენობა განისაზღვრება საკითხის სირთულიდან გამომდინარე.

2. შეფასება არის დიფერენცირებული და დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

3. ტესტირებას ესწრება ერთი ან ორი დამკვირვებელი, რომელიც არ უნდა იყოს იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შერჩევა.

4. ტესტირება, რომელიც ტარდება არაელექტრონული ფორმით, საგამოცდო კომისიის წევრები დამოუკიდებლად აფასებენ აპლიკანტის ნამუშევარს და წერენ შეფასებას/ქულას.

5. შეკითხვებზე პასუხების შეფასებისთვის, შესარჩევი კომისიის წევრები იყენებენ სწორი პასუხების ფურცელს, რომელიც ხელმისაწვდომია ყოველი გამოცდისას. ეს პასუხები ინახება საგამოცდო/ტესტირების დოკუმენტაციასთან ერთად.

6. საგამოცდო კომისიის წევრი ადარებს ერთმანეთს სწორ პასუხებს და აპლიკანტის მიერ გაცემულ პასუხებს და სპეციალურ ფორმაში აღნიშნავს:

ა) შეკითხვების საერთო რაოდენობას;

ბ) სწორი პასუხების საერთო რაოდენობას;

გ) მიღებულ შეფასებას;

დ) გვარს, სახელს

7. ტესტირება, რომელიც ტარდება ელექტრონული/კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით, მიღებულ შედეგებზე ინფორმაცია აპლიკანტს მიეწოდება ტესტირების დასრულებისთანავე.

8. აპლიკანტს ტესტირების შედეგები ეცნობება სარეგისტრაციო სისტემაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის გზით, ან მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნით ტესტირებიდან 3 დღის ვადაში.

9. თუ ნამუშევარი განსაზღვრულზე ნაკლები ქულით შეფასდა, აღნიშნული ხდება აპლიკანტისთვის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი.

10. შესარჩევი კომისია ადგენს რეიტინგულ სიას აპლიკანტის შეფასების შედეგების გათვალისწინებით, გადაწყვეტილება (სხდომის ოქმში) წარედგინება კოლეჯის დირექტორს, რომელიც რეიტინგულ სიას ამტკიცებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და ინფორმაცია აისახება სარეგისტრაციო სისტემაში.

12. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი ინახავს ტესტირების დოკუმენტებს ჩარიცხვის პროცესის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში.

მუხლი 13. საგამოცდო ოთახის მოწყობა

1. შეფასების დღეს საგამოცდო ოთახში გამოსაცდელი პირების შესვლამდე სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია შეამოწმოს:

ა) ადგილების რაოდენობა (მოწმდება, რომ ადგილების რაოდენობა საგამოცდო ოთახში შეესაბამება მოცემული ტესტირების სესიისთვის დარეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობას);

ბ) კედლებზე პოსტერები, სურათები და ა.შ. (კედლებიდან უნდა ჩამოიხსნას ყველა ის თვალსაჩინოებები, რაც შეიძლება შეიცავდეს აპლიკანტისთვის სასარგებლო ინფორმაციას კითხვებზე სწორი პასუხების გასაცემად);

გ) მოწმდება საგამოცდო ოთახში საათის არსებობა და მისი გამართული მუშაობა. ასევე, მოწმდება, რომ საათი კარგად ჩანს ყველა მხრიდან/ადგილიდან.

მუხლი 14. ტესტირების წარმართვა

1. ტესტირების მიმდინარეობისას დამკვირვებელს უფლება არ აქვს დატოვოს საკლასო ოთახი. იგი აკვირდება გამოცდის მიმდინარეობის პროცესს, რათა არ დაირღვეს ტესტირების წარმართვის წესები. გარდა სპეციალური შემთხვევებისა, როგორც წესი, საკლასო ოთახში იმყოფება ერთი დამკვირვებელი.

2. ტესტირების მიმდინარეობისას საგამოცდო ოთახში დაიშვებიან:

ა) აპლიკანტები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ტესტირებაზე;

ბ) სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი/პირები;

გ) ხარისხის მართვაზე/უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი/პირები;

დ) გარე პირები - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები.

3. აპლიკანტმა ტესტირებაზე დასაშვებად უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. დამკვირვებელი ადასტურებს აპლიკანტის ვინაობას და აკეთებს შესაბამის ჩანაწერს.

5. აპლიკანტის იდენტიფიცირების პროცესი წარმოადგენს დამკვირვებლის პასუხისმგებლობას. აპლიკანტი, რომლის ვინაობაც ვერ დადასტურდება, ტესტირებაზე არ დაიშვება.

მუხლი 15. დამკვირვებლის უფლება-მოვალეობანი

1. ტესტირებაზე დამკვირვებელი ვალდებულია:

- ა) ტესტირების ჩატარების ადგილას გამოცხადდეს ტესტირების დაწყებამდე არანაკლებ ნახევარი საათით ადრე და აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას;
- ბ) რეგისტრაციის უწყისში გაატაროს აპლიკანტები და ხელმოწერით დააფიქსირებინოს ტესტირებაზე გამოცხადება ;
- გ) ტესტირების დაწყებამდე აპლიკანტს გააცნოს წესები, რომლებიც დაცულ უნდა იქნეს ტესტირების მიმდინარეობის პროცესში;
- დ) ტესტირების არაელექტრონულად წარმართვის შემთხვევაში, აპლიკანტთა თვალწინ გახსნას დალუქული კონვერტი და დაარიგოს ტესტები;
- ე) დააკვირდეს ტესტირების მიმდინარეობას მისთვის განსაზღვრულ სექტორში;
- ვ) გასცეს პასუხი აპლიკანტთა მიერ დასმულ პროცედურულ და ტექნიკურ შეკითხვებს;
- ზ) არ გასცეს პასუხი ტესტის შინაარსობრივი ხასიათის შეკითხვებს;
- თ) აპლიკანტის ტესტირებიდან მოხსნის შემთხვევაში, გააკეთოს ჩანაწერი ტესტირებიდან მოხსნის მიზეზის მითითებით, მოაწეროს ხელი და გადასცეს კოლეჯის ადმინისტრაციას ;
- ი) ტესტირებისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე გააფრთხილოს აპლიკანტები ტესტირების დროის ამოწურვის შესახებ;
- კ) ტესტირების არაელექტრონულად წარმართვის შემთხვევაში, ტესტირების დასრულების შემდეგ აპლიკანტებს ჩამოართვას ნამუშევრები და გადასცეს ისინი შესამოწმებლად კომისიის წევრებს;
- ლ) უზრუნველყოს ნამუშევრების კონფიდენციალობის დაცვა;
- მ) არ დატოვოს მისთვის განსაზღვრული სექტორი, ტესტირების დასრულებამდე.

მუხლი 16. აპლიკანტის უფლება-მოვალეობანი

1. აპლიკანტი ვალდებულია:

- ა) გამოცხადდეს დაწესებულებაში ტესტირების დაწყებამდე 30 წუთით ადრე (დაგვიანების ან სხვა დროს გამოცხადების შემთხვევაში აპლიკანტი ტესტირებაზე არ დაიშვება).
- ბ) ტესტირების დაწყებამდე წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.
- გ) მაგიდაზე არ განათავსოს არც ერთი ნივთი, გარდა საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისთვის აუცილებელი ნივთებისა (საჭიროების შემთხვევაში).
- დ) ტესტირების არაელექტრონულად წარმართვის შემთხვევაში, შეამოწმოს მისი ტესტის ხარვეზიანობა. დაზიანების არსებობის შემთხვევაში მიმართოს დამკვირვებელს. საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ, ასეთი პრეტენზია აღარ მიიღება.
- ე) არ დაიწყოს ტესტზე მუშაობა, ვიდრე არ დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა.
- ვ) ტესტირების მიმდინარეობისას დაიცვას ეთიკის კოდექსითა და ამ წესით გათვალისწინებული ნორმები.
- ზ) საჭიროების შემთხვევაში, ხელის აწევით მიმართოს დამკვირვებელს შეკითხვით, ისე რომ ხელი არ შეუშალოს სხვა აპლიკანტს.
- თ) დაემორჩილოს ტესტირების პროცესის დამკვირვებლის მითითებებს და გადაწყვეტილებას, თუნდაც მისი ტესტირებიდან მოხსნის შესახებ.
- ი) ტესტირებისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვისთანავე დროულად ჩააბაროს ნამუშევარი.

2. აპლიკანტს უფლება აქვს:

- ა) მოითხოვოს ტესტირებისთვის სათანადო პირობები (სამუშო სივრცე, განათება).
- ბ) ტესტირების სივრცეში შეიტანოს სასმელი წყალი.
- გ) ტესტირების შედეგების გამოქვეყნებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს მიღებული შეფასება.

მუხლი 17. ტესტირების ჩატარება

1. ტესტირებაზე აკრძალულია:

- ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული აპარატურის ქონა;
- ბ) დამხმარე მასალის - სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების ტესტირებაზე შეტანა;
- გ) ტესტირების ფარგლებში ჩასაბარებელი საგნის/საგანთა ჯგუფით განსაზღვრული თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთის გამოცდაზე შეტანა;
- დ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა აპლიკანტისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;
- ე) სამუშაო ადგილის უნებართვოდ დატოვება. სამუშაო ადგილის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ თანმხლებ პირთან ერთად;
- ვ) მუშაობის დაწყება შესაბამისი მითითების გარეშე;
- ზ) ტესტის საკითხების გადაწერა, გადაღება, მისი გარეთ გატანა ან გატანის მცდელობა ნებისმიერი ფორმით.

2. აპლიკანტის ტესტირებიდან მოხსნის საფუძვლებია:

ა) აპლიკანტი გაფრთხილების გარეშე იხსნება ტესტირებიდან, თუ აღმოჩენილ იქნება მობილური ტელეფონი, კალკულატორი, დამხმარე მასალა (გარდა ნებადართული შემთხვევისა), ან სხვა ელექტრონული ხელსაწყო (თუნდაც გამორთულ მდგომარეობაში).

ბ) წესრიგის დარღვევის ან ტესტირების პროცესში მონაწილე პირის შეურცხყოფა, ან სხვა მსგავსი შემთხვევა.

გ) ტესტირებაზე გამოცხადება ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ.

დ) სხვა პირის ნაცვლად ტესტირებაზე გამოცხადება.

3. ნებისმიერი სხვა წესის დარღვევისას აპლიკანტი იღებს გაფრთხილებას. მეორე გაფრთხილების მიღების შემთხვევაში, დამკვირვებელი ვალდებულია ტესტირებიდან მოხსნას აპლიკანტი.

4. არ გასწორდება იმ აპლიკანტის ნაშრომი, რომელიც ტესტირებისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვისთანავე არ შეწყვეტს მასზე მუშაობას.

5. აპლიკანტი, რომელიც არ ეთანხმება ტესტირებაზე მიღებულ შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში დასაბუთებული საჩივრით მიმართოს საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა.

განმეორებით შეფასებაზე დაშვება

მუხლი 18. აპლიკანტისთვის განსხვავებულ თარიღში (განმეორებით)

შეფასების უზრუნველყოფის წესი და პირობები

1. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდება შეფასებაზე, მას საშუალება აქვს განმეორებით ერთხელ გავიდეს ტესტირებაზე/გასაუბრებაზე, რისთვისაც ის განცხადებით მიმართავს დაწესებულების ხელმძღვანელს შეფასების თარიღიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში და წარადგენს მტკიცებულებას.

2. განმეორებით შეფასებაზე გამოუცხადებლობა წარმოადგენს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველს.

3. განმეორებითი შეფასება ტარდება განცხადების წარდგენიდან მაქსიმუმ ერთი კვირის განმავლობაში.

4. განმეორებითი შეფასების შედეგები აპლიკანტს ეცნობება შეფასების ჩატარებიდან არაუგვიანეს 2 (ორ) სამუშაო დღეში.

აპელაცია

მუხლი 19. ტესტირებისა და გასაუბრების შედეგების აპელაციის წესი და ვადები

1. აპლიკანტს უფლება აქვს წერილობითი განცხადებით გაასაჩივროს შედეგები მისი გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

2. საჩივრის განხილვის მიზნით დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს იქმნება სააპელაციო კომისია (მინიმუმ 3 წევრი), რომლის შემადგენლობა განისაზღვრება საჩივრის შინაარსის მიხედვით, გასაჩივრებულია პროცედურული საკითხები თუ მიღებული შეფასება.

3. სააპელაციო კომისიაში შეიძლება შედიოდეს ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დარგის სპეციალისტი და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში საპელაციო კომისიაში შედის პროგრამის თანაგანმახორციელებელი და სხვა პარტნიორი ორგანიზაციის/ორგანიზაციების წარმომადგენელი.

4. სააპელაციო კომისია კომპლექტდება იმ პირებისგან, რომლებიც არ მონაწილეობდნენ შერჩევის პროცესში.

5. სააპელაციო კომისია ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს საჩივარი და მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საჩივრის ავტორს.

6. სააპელაციო კომისია განიხილავს აპლიკანტის საჩივარს და უფლება აქვს ტესტირებისას აპლიკანტის უფლებების დარღვევის დადასტურებისას ხელახლა შეაფასოს ნამუშევარი და დაწეროს უფრო მაღალი/დაბალი შეფასება ან ტესტირების პროცედურის დარღვევისას - დატოვოს იგივე შეფასება.

7. სააპელაციო კომისია განიხილავს აპლიკანტის საჩივარს, ეცნობა საკონკურსო კომისიის მუშაობის ამსახველ ოქმს (გასაუბრებისას) და იღებს გადაწყვეტილებას შეფასების კომისიის მიერ დაწერილი ქულის ძალაში დატოვების ან/და შეცვლის შესახებ. საკითხის მოკვლევისას შესაძლებელია განხორციელდეს აპლიკანტთან და კომისიის წევრებთან გასაუბრება.

8. სააპელაციო კომისია იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) აპლიკანტის მიერ შერჩევის პროცედურის დარღვევისას - მისი ნული ქულით შეფასების თაობაზე;

ბ) აპლიკანტის უფლებების დარღვევის დადასტურებისას - მისი შეფასების გადახედვის თაობაზე.

9. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

10. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ერთი სამუშაო დღის ვადაში ეცნობება აპლიკანტს ტელეფონის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

11. სააპელაციო კომისიის მუშაობის შედეგი აისახება ოქმში. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავჯდომარე და მდივანი.

მუხლი 20. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტები დაწესებულებაში ირიცხებიან პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში;
2. დაწესებულება განიხილავს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს, თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას პირის პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ;
3. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტისთვის გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს.
4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით დაწესებულების მიერ გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მონაცემები აისახება სარეგისტრაციო სისტემაში და ხდება აპლიკანტის ინფორმირება სატელეფონო ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით დაწესებულება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში ასახავს ინფორმაციას შესავსები ადგილების შესახებ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 21. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება

1. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით დაწესებულება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში ასახავს ინფორმაციას შესავსები ადგილების შესახებ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
2. შესავსები ადგილების რაოდენობა განისაზღვრება ჩარიცხვის დასრულების შემდეგ პროგრამაზე მისაღები ადგილებიდან დარჩენილი თავისუფალი ადგილების მიხედვით.
3. მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფს, იმ აპლიკანტებისათვის დარჩენილი თავისუფალი ადგილების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომელთაც ვერ მოიპოვეს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
4. პროგრამებზე თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, აპლიკანტთა შერჩევა, რეიტინგული სიების შედგენა, შედეგების ასახვა და ჩარიცხვა ხორციელდება ამ წესის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით დამტკიცებული წესის შესაბამისად.
5. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების პროცესი სრულდება დაწესებულების მიერ სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.

მუხლი 22. ჩარიცხვა

1. დაწესებულება ვალდებულია, აპლიკანტები ჩარიცხოს პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.
2. დაწესებულების დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ბრძანებით განსაზღვრავს:
 - ა) აპლიკანტის მიერ ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი;
 - ბ) დოკუმენტების წარდგენის ფორმას;
 - გ) დოკუმენტების წარდგენის ვადებს;
 - დ) ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველებს;
 - ე) ხელშეკრულების გაფორმების პირობებსა და ვადებს;
 - ვ) სხვა საკითხებს, დაწესებულების გადაწყვეტილებით.
3. აპლიკანტი, რომელსაც რეგისტრაციისას არჩეული აქვს რამდენიმე პროგრამა, უფლებამოსილია ჩარიცხოს მხოლოდ ერთ პროგრამაზე.
4. პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის ფარგლებში მიღწეული განათლების დონის მიხედვით გამოყოფილი ადგილების შეუვსებლობის შემთხვევაში, ეს ადგილები გამოიყენება მეორე რეიტინგულ სიაში მყოფ აპლიკანტთა ჩარიცხვისთვის.
5. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას, დაწესებულებას შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად, ამ შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს დაწესებულების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი ადგილებისთვის შესაბამის წელს განსაზღვრული მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებს, დამატებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა მოაკლდება მოცემულ პროგრამაზე შემდეგ წელს მისაღებ ადგილებს, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში - სწავლების შესაბამის ფორმაზე/სასწავლო გეგმაზე არსებულ თავისუფალ ადგილებს.

6. მინისტრის მიერ დადგენილ ვადებში, ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესისა და ამ მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ;

მუხლი 23. პროგრამაზე ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. კოლეჯის მიერ დადგენილი განაცხადის შევსებულ ფორმას პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მოთხოვნის თაობაზე, თან ერთვის:

- ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ბ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (საბაზო განათლების/ზოგადი განათლების/უმაღლესი განათლების მიღების დამადასტურებელი);
- გ) უცხოეთში/ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში - განათლების აღიარების დოკუმენტი;
- დ) არასრულწლოვანი ან სსსმ/შშმმ აპლიკანტის შემთხვევაში - განმცხადებლის/ხელშეკრულებაზე ხელმოწერი პირის პირადობის მოწმობა და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის სათანადო უფლებამოსილებას წარმომადგენლობაზე (დაბადების მოწმობა/მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა).
- ე) 17 წელს მიღწეული ვაჟთათვის წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტი;

მუხლი 24. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა

1. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის საჭიროება არის მაშინ როცა:

- ა) სსს და შშმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და ვერ აღწევს/ვერ ადასტურებს სწავლის შედეგებს;
 - ბ) მობილობით გადმოდსული პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებთან;
 - გ) პირი რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას;
 - დ) პროგრამის შეცვლის(როდესაც შეიცვალა პროგრამის სწავლის შედეგები)/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტებისათვის მიღებული განათლების აღიარება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელება შეცვლილ/მონათესავე/სხვა პროგრამაზე;
2. პირველ(ა) შემთხვევასთან დაკავშირებით პროფესიული მასწავლებელი მიმართავს ადმინისტრაციას და სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვების მიზნით, თუ ფაქტი დადასტურდა სასწავლო პროცესის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ მასწავლებელთან ერთად 5 სამუშაო დღეში შეიმუშავენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით/ჩართულობით და წარუდგენს დასამტკიცებლად დაწესებულების დირექტორს.
3. მეორე (ბ) შემთხვევაში სასწავლო პროცესის მენეჯერის და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული მოდულის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარების შესახებ მარეგულირებელი მუხლის პროცედურების დაცვით;
4. მესამე(გ, დ) შემთხვევაში სასწავლო პროცესის მენეჯერი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს და შეიმუშავენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას/სასწავლო ცხრილს/გამოცდის ცხრილს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის ინტერესების/საჭიროებების გათვალისწინებით/ჩართულობით, რათა მოხდეს სტატუსადგენილი სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი მოდულების წინაპირობების დაცვით,

მუხლი 25. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის წესი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შენობაში გადაადგილების თავისებურებები

1. შეზღუდული შესაძლებლობების (გადაადგილების, მოტორული, მეტყველებისა და სხვა დარღვევით) მქონე პირების სწავლებასა და სწავლის პროცესში ჩართულობას დაწესებულება უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოთი, რაც გულისხმობს:

- ა) დაწესებულების შენობაში შედგენის შესაძლებლობას პანდუსის მეშვეობით;
- ბ) დაცვის თანამშრომლის გამოყოფას, კონსულტაციისა და დახმარებისათვის, ასევე შეუფერხებელი გადაადგილებისათვის დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე.
- გ) ადმინისტრაციის თანამშრომლის მიმაგრებას, რომელიც მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის კომუნიკაცია-კონსულტაციას ყველა სტრუქტურულ ერთეულთან.
- დ) ბიბლიოთეკით საჭიროების შემთხვევაში ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს მისთვის სასურველი ლიტერატურის სასწავლო აუდიტორიაში მიტანას.

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია საჭირო გახდეს დამხმარე ტექნიკა ან პროგრამული უზრუნველყოფა, როგორცაა, მაგალითად სპეციალური პროგრამა კითხვისათვის, უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის. თუ აღნიშნული საჭიროებების მქონე პირი მომართავს დაწესებულებას სწავლების სურვილით ამ შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი დამხმარე ტექნიკის შეძენას;

3. სასწავლო რესურსების ადაპტირებაში იგულისხმება ასევე, სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირება. მაგ: შედარებით მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები. მაგ: მოდულებში მითითებულია, რომ სსსმ პირებისთვის შესაძლებელია განხორციელდეს მოდულების მოდიფიკაცია, რაც ნიშნავს სწავლის შედეგების ცვლილებას. თუ სწავლის შედეგები შეიცვალა, მაშინ ამან შესაძლოა გამოიწვიოს სასწავლო რესურსების ცვლილებაც, მაგ: მათი გამარტივება.

თავი 5. პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი

მუხლი 1. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების სისტემა

1.1 კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება არის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიდგომა, როცა შეფასების პროცესი მთლიანად ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე.

1.2. შეფასების სისტემა უნდა იყოს ვალიდური, სანდო, ობიექტური/სამართლიანი, გამჭვირვალე:

- ✓ **ვალიდურობა** - განსაზღვრავს, შეფასების პროცედურით იზომება თუ არა ის, რისი შეფასებაც არის გამიზნული. შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება.
- ✓ **სანდოობა** - შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.
- ✓ **სამართლიანობა** - გულისხმობს იმას, რომ შეფასების პროცედურა არის კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი.

გამჭვირვალობა - ნიშნავს იმას, რომ საჯაროდ ცნობილია წინასწარ შეფასების შესახებ დეტალური მონაცემები, როგორცაა შესაფასებელი კომპეტენციების სფეროები და ღონისძიების ჩატარების დრო, დადასტურების პირობები, მოთხოვნები.

მუხლი 2. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიდგომები

2.1 შეფასებისას გამოიყენება **არადიფერენცირებული** მიდგომა, რაც გულისხმობს სწავლის შედეგის სრულად დადასტურებას და ფასდება შემდეგნაირად: „სწავლის შედეგები დადასტურდა“ ან – „სწავლის შედეგ არ არის დადასტურდა“

მუხლი 3. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების სახეები

3.1. მოდულურ პროგრამებში გამოიყენება **განმავითარებელი** და **განმსაზღვრელი** შეფასება.

3.2 განმავითარებელი შეფასება არის ინსტრუმენტი რომელიც გაზომავს მოდულების სწავლის შედეგების ათვისების ხარისხს და შემდგომი სწავლებისათვის არსებულ პოტენციალს.

3.2.1 განმავითარებელი შეფასება ახდენს პროფესიული სტუდენტის მოტივაციას და უზრუნველყოფს მაღალ ჩართულობას შემდგომ საგანმანათლებლო პროცესში. პროფესიულმა სტუდენტი გამოსცდის საკუთარ კომპეტენციას, როგორც თეორიული ცოდნას, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევებს. განმავითარებელი შეფასება ერთგვარი პროგრამის განხორციელების შეფასების ინსტრუმენტი და ეხმარება როგორც პროფესიულ სტუდენტს, ისე პროგრამის განმახორციელებელ პირს, უწყვეტი გადასინჯვის, შეფასებისა და გაუმჯობესებისათვის საჭირო ბაზას შექმნის.

3.2.2 განმავითარებელი შეფასების დროს მიღებული შედეგი მხოლოდ განმავითარებელი ხასიათისაა და არ აისახება საბოლოო შეფასების შედეგზე.

3.2.3 განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს ზოგადად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის შეფასებასაც. პროფესიული სტუდენტები მოახდენენ საკუთარი თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების ხარისხის მონიტორინგს, ხოლო პროგრამის განმახორციელებელი პირები მიღებულ

შედეგებზე დაყრდნობით მიიღებენ ჩატარებული საქმიანობის უკუკავშირს, რათა მომავალში გაითვალისწინონ და გააუმჯობესონ სწავლების მიდგომები. ასევე, განმავითარებელი შეფასების პროცესი იქნება ერთგვარი მომზადება **განმსაზღვრელი** შეფასებისათვის.

3.2.4 პროგრამის განმახორციელებელი პირი თავად განსაზღვრავს განმავითარებელი შეფასების პერიოდს, რაოდენობას და ქმნის შეფასების ინსტრუმენტებს.

მეხლი 5. განმსაზღვრელი შეფასება

5.1 განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად. განმსაზღვრელი შეფასებისას გამოიყენება არადიფერენცირებული შეფასების მიდგომა და თავისი არსით კონკრეტული სწავლის შედეგის ან სწავლის შედეგების საბოლოო შეფასებაა.

5.2 განმსაზღვრელი შეფასებით დადასტურდება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა შედეგი. შეფასება უნდა იყოს კომპლექსური, შესაფასებელ პირს უნდა შეეძლოს მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების არა ცალკეულად, არამედ ურთიერთკავშირში გამოყენება.

5.3 განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები ეფუძნება დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ორიენტირებულია კვალიფიკაციის მოთხოვნებზე.

5.4 განმსაზღვრელი შეფასების პროცესი დასტურდება შესაბამისი შეფასების ფურცლ(ებ)ით და მტკიცებულებ(ებ)ით.

მუხლი 6. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიმართულებები

6.1 შეფასების მიმართულებებია: **პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, პრაქტიკული დავალება და გამოკითხვა**. აღნიშნულთაგან, პირველი ორი პრაქტიკული უნარების შეფასებისათვის გამოიყენება, მაშინ, როდესაც გამოკითხვა უფრო თეორიული - კოგნიტური ცოდნის შესაფასებლადაა რელევანტური. თუმცა, პრაქტიკული უნარების შეფასებისას შესაძლებელია ინტეგრირებულად განხორციელდეს გარკვეული თეორიული ცოდნის შეფასებაც, რადგანაც პრაქტიკული უნარები ცოდნას ეფუძნება, თუმცა, იშვიათად იძლევა ცოდნის ფართო სპექტრის შეფასების შესაძლებლობას.

6.2 **პრაქტიკული დავალება დაკვირვებით**-შემფასებელი აკვირდება შესაფასებელი პირის მუშაობას პრაქტიკული დავალების შესრულების პროცესში. დაკვირვება ხორციელდება სამუშაო ადგილზე, დაწესებულებაში არსებულ სახელოსნოში, ლაბორატორიაში ან ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც შესაფასებელი პირი პრაქტიკული დავალებას ახორციელებს. შემფასებელმა წინასწარ უნდა დაგეგმოს დაკვირვების პროცესი, იმის დასადგენად, თუ რამდენად სწორად იყენებს შესაფასებელი პირი ცოდნას, უნარებსა და ყველა რესურსს შედეგის მისაღწევად. პროცესზე დაკვირვების დროს მტკიცებულება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შეფასების სქემის, დაკვირვების ფურცლის, შესაფასებელ პირის საქმიანობის ამსახველი ვიდეოჩანაწერის ან სხვა საშუალებებით.

6.3 **პრაქტიკული დავალება**-ეს მიმართულება გულისხმობს არა მარტო შესაფასებელი პირის მიერ შექმნილი „პროდუქტის“ შეფასებას, რომლის მტკიცებულებაც შეიძლება წარმოდგენილი იყოს შექმნილი მაკეტის, დეტალის ან შესაფასებელი პირის მიერ დამზადებული სხვა სახის არტეფაქტის სახით, არამედ „შედეგის“ შეფასებასაც, როგორცაა შესაფასებელ პირის მიერ ჩატარებული ტური, შექმნილი პროექტი, შეჭრილი თმა, გაფორმებული ხელშეკრულება, შექმნილი CV და ა.შ.

6.4 **გამოკითხვა**-გამოკითხვა ძირითადად აკადემიური უნარების (კოგნიტური, კრეატიული, ანალიტიკური) შესაფასებლად გამოიყენება. ამ ხერხს მიმართავენ მაშინ, როცა საჭიროა შესაფასებელი პირის ცოდნის, აღქმისა გაგების, მსჯელობის, ანალიზის, დაგეგმვისა,

სინთეზის და შეფასების უნარების განსაზღვრა. გამოკითხვა შეიძლება განხორციელდეს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით ის აერთიანებს ყველა მიდგომას, რომელთა ფარგლებშიც შესაძლებელია აკადემიური უნარების შეფასება. მტკიცებულებად შეიძლება წარმოდგენილ იყოს, მაგალითად, შესაფასებელი პირის მიერ შევსებული ტესტი, ან ზეპირი გამოკითხვის შეფასების ფურცელი. წარმოდგენილ მტკიცებულებებს თან უნდა ახლდეს მასწავლებლის მიერ განხორციელებული შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია.

მუხლი 7. შეფასების ინსტრუმენტები

7. შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება გულისხმობს სამ ეტაპს:

- მომზადება/შერჩევა
 - შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება
 - ვალიდაცია
- 7.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტ(ებ)ი.
- 7.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეფასების მიმართულების მიხედვით არჩევენ შესაბამის შეფასების ინსტრუმენტს .
- 7.3. შეფასების ინსტრუმენტში შემავალი საკითხები უნდა იყოს დაბალანსებული და გონივრული პროპორციით ფარავდეს მოდულების შედეგს/შედეგებს. შეიცავდეს სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ და ტრანსფერული უნარების შემფასებელ კომპონენტებს.
- 7.4. შეფასების ინსტრუმენტები მუდმივად განახლებადი უნდა იყოს, და პასუხობდეს დარგის განვითარების/შრომის ბაზრის მოთხოვნებს. რაც გულისხმობს, პერიოდულად ცვლილებების განხორციელებას. შეფასების ინსტრუმენტები უნდა გადაიხედოს მინიმუმ შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად.
- 7.5. მნიშვნელოვანია, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია, რაც უზრუნველყოფილს შეფასების ინსტრუმენტებისადმი ფუნდამენტური მოთხოვნების (ვალიდურობის, რელევანტურობის და საკმარისობის)დაცვას.

7.6. შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა

დარგის/კვალიფიკაციის მიუხედავად, ყველა შეფასების ინსტრუმენტი უნდა მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო ინფორმაციას:პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ შეფასების ინსტრუმენტი შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- დაწესებულების ლოგო;
- დაწესებულების დასახელება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
- მოდულის სახელწოდება
- პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი, გვარი;
- პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი;
- სწავლის შედეგ(ებ)ი
- შეფასების მეთოდი
- შეფასების მიმართულება
- დავალების აღწერა
- დავალების შესრულების ინსტრუქცია
- შეფასებისათვის განკუთვნილი დრო
- შეფასების ადგილი/გარემოს აღწერა
- შეფასების სქემა
- მტკიცებულების მოთხოვნები
- სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების პირობები

- შეფასების შედეგი
- შეფასების ჩატარების თარიღი;
- სხვა სახის ინფორმაცია, ინსტრუმენტის საჭიროებიდან გამომდინარე

7.7 პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის წარმოდგენის შემდეგ შემოწმებას აკეთებს: სასწავლო პროცესის სამსახური, რომელიც უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების პროცესში ჩართოს დარგის სპეციალისტი;

7.8 შეფასების პროცესამდე მინიმუმ 7 სამუშაო დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის მენეჯერს უგზავნის/წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს;

7.9 სასწავლო პროცესის მენეჯერი დარგის სპეციალისტთან ერთად ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და შინაარსობრივი მხარის შემოწმებას;

7.10 ხარვეზების შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული სახით; შემოწმებული შეფასების ინსტრუმენტი წარწერით გამოიყენება პროფესიულ სტუდენტების შეფასების მიზნებისათვის.

მუხლი 8. შეფასების მტკიცებულებები

8.1. შეფასების მტკიცებულება არის დასტური იმისა, რომ შეფასების პროცესი შედგა და განხორციელდა მოთხოვნათა სრული დაცვით.

8.2. შეფასების პროცესში, გადაწყვეტილების მიღებისას, პროფესიული განათლების მასწავლებელმა უნდა შეაფასოს წარმოდგენილი მტკიცებულების შესაბამისობა სწავლის შედეგების კრიტერიუმებთან. პროფესიული განათლების მასწავლებელი მტკიცებულებებზე დაყრდნობით განიხილავს შეუძლია თუ არა პროფესიულ სტუდენტს დავალების თანამიმდევრულად შესრულება. პროფესიული განათლების მასწავლებელი მტკიცებულებას მთელ რიგ პრინციპებზე დაყრდნობით შეაფასებს მნიშვნელოვანია, რომ შეფასება ეფუძნებოდეს მტკიცებულებას, რომელიც უნდა იყოს ვალიდური, ტრანსფერული, ავთენტური, საკმარისი და მოდულის სპეციფიკაციით დადგენილ მოთხოვნებთან ხარისხის დონის შესაბამისი.

- **მტკიცებულების საკმარისობა** – მტკიცებულება საკმარისია, თუ ამ მტკიცებულების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტს შეუძლია საქმიანობის განხორციელება შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად.
- **მტკიცებულების ვალიდურობა** – ვალიდურია მტკიცებულება, თუ ის ზუსტად ასახავს იმას, რაც უნდა შეფასებულიყო.
- **მტკიცებულების ავთენტურობა** – მტკიცებულება ავთენტურია, თუ ის შესრულებულია შესაფასებელი პირის მიერ.
- **მტკიცებულების ტრანსფერულობა** – მტკიცებულება ტრანსფერულია, თუ მის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტი იმავე დავალების შესრულებას იმავე კრიტერიუმების შესაბამისად შეძლებს არა მხოლოდ სასწავლო ან სიმულაციურ, არამედ რეალურ სამუშაო გარემოშიც.

8.3 შეფასების უწყისები უვადოდ ინახება. თუმცა შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულები, აუდიო ჩანაწერები და სხვა) აღირიხება შესაბამისი აღრიცხვის ჟურნალში და უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება, რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის. შემდგომ ხდება მათი განადგურება ისე რომ ზიანი არ მიაღწეს გარემოს, შესაბამისი კომისიის მიერ ხდება ოქმის შედგენა.

8.4 მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით.

8.5 მტკიცებულებების აღრიცხვის მიზანია მტკიცებულებათა სწორი იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში მათი მიკვლევა. 3 წლის შემდეგ ის შეიძლება განკარგული იქნება კოლეჯის მიერ დადგენილი წესით.

- 8.6 დაწესებულება ახორციელებს სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს. პროფესიული სტუდენტები იღებენ უკუკავშირის მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები. დაუშვებელია ჯგუფში კონკრეტული სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების გასაჯაროვება, თუ ამაზე სტუდენტს არ აქვს გამოხატული თანხმობა (სიტყვიერად ან წერილობით). შედეგები ასეთ შემთხვევაში განზოგადოებულად უნდა იქნეს განხილული. კონკრეტული სტუდენტის შედეგები მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე უნდა იქნეს განხილული.
- 8.7 სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია იქნას საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა
- 8.8 შეფასების უწყისის ფორმა შესაძლოა მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: დაწესებულების ლოგო, დასახელება, პროგრამის დასახელება, მოდულის დასახელება, კრედიტების რაოდენობა, პროფესიული სტუდენტის სახელი გვარი, სწავლის შედეგები და მისი დადასტურება/არდადასტურების აღნიშვნა, შეფასების/განმეორებითი შეფასების თარიღები, მოდულის განმახორციელებელი პირის ხელმოწერა.
- 8.9 სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები აღირიცხება შესაბამისი აღრიცხვის ჟურნალში(ელექტრონულად), პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა კანცელარიას და ინახება უვადოდ.
- 8.10 საექთნო განათლების პროგრამის ფარგლებში კლინიკური და შემაჯამებელი კლინიკური მოდულებს სწავლის შედეგებს აღწევს კლინიკებში, რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები, შეფასებების განხორციელების მიზნით ინსტრუქტორი აწარმოებს ჩანაწერების ჟურნალს და პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის შემთხვევაში ადასტურებს შესაბამისი აღნიშვნით და ჟურნალზე ხელმოწერით, ხოლო პროგრამის ბოლოს ტარდება საკვალიფიკაციო გამოცდები, წინამდებარე წესის შესაბამისად.

მუხლი 9. შეფასების პროცესის ადმინისტრირება

- 9.1. შეფასების პროცესის დაწყების წინ სასწავლო პროცესის სამსახურის წარმომადგენელი პროფესიულ სტუდენტებს აცნობს შეფასების პროცესის დროს ქცევის წესებს და ატარებს ინსტრუქტაჟს.
- 9.2. ინსტრუქტაჟის მოსმენის შემდეგ ყველა პროფესიული სტუდენტისთვის ერთდროულად დაიწყება შეფასების დროის ათვლა.
- 9.3. შეფასების პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია შეფასების პროცესზე:
- ა) დაუგვიანებლად გამოცხადდეს შეფასების დაწყების განსაზღვრულ დროს
 - ბ) თან იქონიოს: ავტოკალამი;
 - გ) ტესტის ჩაბარებისას ხელი მოაწეროს სპეციალურ გრაფაში;
 - დ) შეასრულოს ამ დებულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებანი და მეთვალყურის ცალკეული მითითებანი.
- 9.4. შეფასების მსვლელობისას პროფესიულ სტუდენტს ეკრძალება:
- ა) მობილური ტელეფონის, ან სხვა ელექტრონული აპარატურის ქონა;
 - ბ) შეფასების პროცესის დამხმარე მასალის – სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების და სხვ. გამოყენება(გარდა იმ შემთხვევებისა თუ ეს შეფასების წესით არის დაშვებული);
 - გ) ტესტის შესავსებად განსხვავებული ფერის (წითელი, მწვანე,...) ფერის გამოყენება;
 - დ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა პროფესიულ სტუდენტისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;
 - ე) შეფასების ადგილის უნებართვოდ დატოვება. შეფასების ადგილის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ ორჯერ 5 -5 წუთი დამკვირვებლის ნებართვის შემდეგ.
- 9.5.. ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს მიეცემა გაფრთხილება, ხოლო დარღვევის განმეორებისას მას განათავსებენ დანარჩენი სტუდენტებისგან განცალკევებით, ამ დებულებით გათვალისწინებული შეფასების პროცესის პირობების დაცვით ან მას დაატოვებინებენ შეფასების სივრცეს. გაფრთხილების გარეშე სტუდენტის შეფასებიდან მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ უხეში დარღვევის შემთხვევაში. ამ შემთხვევებში სტუდენტის მიერ საშეფასებო სივრცის დატოვება ფორმდება ოქმით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური აქტით.

- 9.6. შეფასების დროის ამოწურვამდე მიცემული დავალების(ტესტი, პრაქტიკული დავალება) შესრულების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, დატოვოს შეფასების ადგილი;
- 9.7. თუ ფართი იძლევა ამის საშუალებას შესაძლოა რამდენიმე სპეციალობის თეორიული შეფასება(ტესტირება) ჩატარდეს ერთ სივრცეში.
- 9.8. ჩაბარებული ტესტური ნამუშევრები იკვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით და გადაეცემა შემფასებელ პირს
- 9.9. განმეორებით შეფასებაზე დაშვება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის მხრიდან შეფასების საფასურის გადახდას, რაც განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით/ხელშეკრულებით;
- 9.10. განმეორებით შეფასებაზე გასვლის უფლება პირს ეძლევა ორჯერ, ორივეჯერ უარყოფითი შედეგების მიღების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ხელმეორედ გაიაროს მოდულის სწავლის შედეგ(ებ)ი;
- 9.11. განმეორებით შეფასებაზე წერილობითი გამოკითხვის შემთხვევაში იცვლება შეფასების ინსტრუმენტი.

მუხლი 10. დამკვირვებელი

- 10.1. საშეფასებო პროცესის ობიექტურად და გამჭვირვალედ ჩატარების მიზნით კოლეჯში შეფასების პროცესის მიმდინარეობას თვალყურს ადევნებენ დამკვირვებელი/დამკვირვებლები. დამკვირვებელთა რაოდენობის განსაზღვრა, მათი დანიშვნა და განაწილება ხდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალური აქტით. შეფასების მიმდინარეობის პროცესში დაუშვებელია ამ დებულებით გაუთვალისწინებელი პირების დასწრება.
- 10.2. დამკვირვებელი არის პირი, რომელიც ამ დებულებით გათვალისწინებული წესის დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილია მიიღოს ზომები დარღვევის აღმოსაფხვრელად და შეფასების სივრცეში დაამყაროს წესრიგი.
- 10.3. დამკვირვებელი შეიძლება იყოს კოლეჯის წარმომადგენელი, საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი ან დამოუკიდებელი ფიზიკური პირი, რომელმაც დაინიშნა დირექტორის ბრძანებით.
- 10.4. საშეფასებო პროცესზე დამკვირვებლად არ დაიშვება პირი, რომელიც პროფესიული სტუდენტი ნათესავია. ნათესავად ჩაითვლება:
- ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;
 - ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და მისი პირდაპირი ხაზის ნათესავი;
 - გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა და მათი შვილები;
 - დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.
- 10.5. დამკვირვებელს ეკრძალება ნებისმიერი ფორმით სტუდენტის დახმარება ან მათი მუშაობისთვის ხელის შეშლა.
- 10.6. ქცევის წესების დარღვევის კატეგორიით განისაზღვრება სტუდენტის მიმართ განსახორციელებელი სანქციის ფორმა.
- 10.7. სანქციის ფორმებია: გაფრთხილება და შეფასებიდან მოხსნა. შეფასებიდან მოხსნის შემთხვევაში სტუდენტის საშეფასებო ნაშრომი გაუქმდება.

მუხლი 11. შეფასების შედეგებზე პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების სისტემა და შეფასების მონიტორინგი

- 11.1. პროფესიული მასწავლებლის მიერ, შეფასების მტკიცებულებებზე დაყრდნობით, და უწყისის შევსების შემდეგ პროფესიული სტუდენტი ინდივიდუალურად ეცნობა შეფასების შედეგებს სასწავლო პროცესის მენეჯერთან ან/და მოდულის განმახორციელებელ პირთან
- 11.2. დაწესებულება ახორციელებს სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები. დაუშვებელია ჯგუფში კონკრეტული სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების გასაჯაროებას, თუ ამაზე სტუდენტს არ აქვს გამოხატული თანხმობა (სიტყვიერად ან წერილობით). შედეგები ასეთ შემთხვევაში განზოგადოებულად უნდა იქნეს განხილული. კონკრეტული სტუდენტის შედეგები მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე უნდა იქნეს განხილული. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები ასევე გამოყენებული უნდა იქნას პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

მუხლი 12. აპელაციის პროცედურა

12. 1. თუ პროფესიულმა სტუდენტმა სწავლის შედეგის შეფასება/ან/და შეფასების პროცესის მიმდინარეობა არასამართლიანად ჩათვალა, მან შედეგების გაცნობიდან /ან/და შეფასების განხორციელებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის სამსახურს და მოითხოვოს შედეგის დადასტურების/შეფასების გადასინჯვა/შეფასების პროცესზე ხელმეორედ ჩატარება.

12. 2. სასწავლო პროცესის მენეჯერი საჩივრის მიღებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ნაშრომის/პრეტენზიის განხილვას ხარისხის განვითარების სამსახურის მენეჯერის ხელმძღვანელობით პროფესიულ სტუდენტთან და კონკრეტული მოდულის /სწავლის შედეგის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. მოხდება მტკიცებულების/მტკიცებულებების განხილვა. შეუთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დაწესებულება უფლებამოსილია შეადგინოს კომისია, რომლის შემადგენლობაში შევა არანაკლებ 2 შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოწვეული პირი, რომელიც არ მონაწილეობდა შეფასების პროცესში. ასევე დაწესებულების წარმომადგენელი დირექტორის გადაწყვეტილებით. კომისია უნდა შეიკრიბოს საჭიროების დადგომიდან არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა. კომისიის გადაწყვეტილება შეძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.3. აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ ნაშრომის ასლი, აპელაციის დასკვნასთან ერთად, უბრუნდება სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი დასკვნის ასახვას (შეფასების ცვლილების შემთხვევაში) დოკუმენტურად და პროფესიული სტუდენტისთვის გადაწყვეტილების გაცნობას.

თავი 6. შუალედური შეფასება

მუხლი 1. შუალედური შეფასების წესი

1. შუალედური შეფასება წარმოადგენს პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის და პროფესიული სტუდენტისათვის განმავითარებელი უკუკავშირის მიცემის ერთერთ მექანიზმს;

2. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა სტუდენტისათვის სავალდებულოა;

3. შუალედური შეფასების შედეგები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სწავლის შედეგების დადასტურებისათვის, კრედიტის მინიჭებისათვის, ან სტუდენტის სტატუსის განსაზღვრისათვის/შეცვლისათვის;

3. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას;

4. შუალედური შეფასება ტარდება პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე, როცა პროფესიულ სტუდენტს გავლილი აქვს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების არანაკლებ 40 და არაუმეტეს 60 პროცენტისა;

5. შუალედური შეფასების თარიღი და ფორმატი განისაზღვრება კონკრეტული ჯგუფისათვის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის წარდგინებისა, არაუგვიანეს შეფასების ჩატარებამდე ერთი თვით ადრე;

6. პროფესიული სტუდენტის ინფორმირება შუალედური შეფასების თარიღისა და ფორმატის შესახებ ხორციელდება მეილით/ერთიანი საკომუნიკაციო სისტემაში განთავსების ან სხვა ფორმით, დირექტორის მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა;

7. შუალედური შეფასების თემატიკა არ უნდა გაცდეს პროფესიული სტუდენტის მიერ შუალედური შეფასების ჩატარებამდე გავლილ სწავლის შედეგებს;

8. შუალედური შეფასება უნდა იძლეოდეს სტუდენტის მიერ მიღწეული კომპეტენციების ჰოლისტური შეფასების შესაძლებლობას;

9. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შუალედური შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას:

- თეორიული შეფასება;
- პრაქტიკული უნარების დემონსტრირება;

- პროექტის პრეზენტაცია;
- სიტუაციის განხილვა და ანალიზი;
- სხვა რელევანტური მეთოდები ან მათი კომბინაცია;

10. შუალედური შეფასების მიზნით გამოყენებული ინსტრუმენტი ექვემდებარება ვალიდაციას კოლეჯის მიერ დადგენილი წესით ან შუალედური შეფასების კომისიის ჩართულობით;

11. პროფესიული სტუდენტის მიერ შუალედური შეფასების დროს შექმნილი მტკიცებულება ინახება კოლეჯში სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე;

12. შუალედური შეფასების კომისიის შემადგენლობა, კომისიის თავმჯდომარე და მდივანი განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით;

13. კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე სამი წევრისაგან, მასში უმეტესობას უნდა ქმნიდეს ის პირები, ვინც არ ღებულობდა მონაწილეობას შესაფასებელი სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში;

14. კომისიის წევრი უნდა იყოს დარგის წარმომადგენელი;

15. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა;

16. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით;

17. კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის არყოფნის შემთხვევაში, დანარჩენი წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს და მდივანს;

18. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა;

19. კომისიის კომპეტენციაა შუალედური შეფასების შედეგებზე დაყრდნობით დაწესებულებას მისცეს უკუკავშირი პროგრამის განხორციელების პროცესში წარმოჩენილ ძლიერ და სუსტ მხარეებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში გასცეს რეკომენდაციები;

20. რეკომენდაციების შემუშავების პროცესში უნდა ჩაერთოს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი;

21. კომისიის შეფასება და რეკომენდაციები აისახება შესაბამის ოქმში;

22. შუალედური შეფასების შედეგების შესახებ სტუდენტებს მიეწოდება უკუკავშირი

23. შუალედური შეფასების შედეგები შესაძლოა საფუძვლად დაედოს პროგრამაში ცვლილებების ინიცირებას, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას, მატერიალური რესურსების შეფასებას, მარეგულირებელ აქტებში ცვლილებას ან საგანმანათლებლო სტანდარტებში ცვლილებების ინიცირებას, კოლეჯის კომპეტენციის ფარგლებში;

24. საპატიო მიზეზით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არმიღების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ამ მუხლით დადგენი პირობებითა და წესით მონაწილეობა მიიღოს განმეორებით (შეგიძლიათ დაარქვათ დამატებითი) შუალედურ შეფასებაში;

25. არასაპატიო მიზეზით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არმიღება, ან განმეორებით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არმიღება, შესაძლოა გახდეს სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი;

26. საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს:

- ჯანმრთელობის ან ოჯახური მდგომარეობა, რაც მოკლებულია ძირითად ვადებში შეფასების პროცესში მონაწილეობას;
- ფორსმაჟორული გარემოება;

27. განმეორებითი შეფასების ვადები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში წარდგინებით, ამ წესის ამ მუხლით დადგენილ ვადებში და წესით;

28. გარე მობილობის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ოფიციალური დოკუმენტი შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის ფაქტის შესახებ.

მუხლი 7. საკვალიფიკაციო გამოცდის წესი

1. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურება და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა.

2. პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება;
3. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება პროგრამის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა;
4. გარე მობილობის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ოფიციალური დოკუმენტი შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის ფაქტის შესახებ.
5. საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღი და ფორმატი განისაზღვრება კონკრეტული ჯგუფისათვის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით პასუხისმგებელი პირის წარდგინებით არაუგვიანეს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე ერთი თვით ადრე;
6. პროფესიული სტუდენტის ინფორმირება საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღისა და ფორმატის შესახებ ხორციელდება ამ (მეილი, ან შეხვედრა და სხვა) ფორმით დირექტორის მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა;
7. საკვალიფიკაციო გამოცდის თემატიკა არ უნდა გასცდეს სტუდენტის მიერ მიღწეულ სწავლის შედეგებს;
8. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, საკვალიფიკაციო გამოცდის მიზნებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას:
 - თეორიული გამოცდა და პრაქტიკული უნარების დემონსტრირება;
 - სხვა რელევანტური მეთოდები ან მათი კომბინაცია;
9. პროფესიული საკვალიფიკაციო გამოცდის მიზნით გამოყენებული ინსტრუმენტი ექვემდებარება ვალიდაციას საკვალიფიკაციო კომისიის ჩართულობით;
10. პროფესიული სტუდენტის მიერ საკვალიფიკაციო გამოცდის დროს შექმნილი მტკიცებულება ინახება კოლეჯში სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან სამი წლის განმავლობაში;
11. საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობა, კომისიის თავმჯდომარე და მდივანი განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით;
12. კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე სამი წევრისაგან, მასში უმეტესობას უნდა ქმნიდეს ის პირები, ვინც არ ღებულობდა მონაწილეობას შესაფასებელი სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში;
13. კომისიის უმეტესი წევრი უნდა იყოს დარგის წარმომადგენელი;
14. კომისიაში სავალდებულო წესით უნდა მონაწილეობდეს დარგის შესაბამისი სფეროს წარმომადგენელი, რომელიც არ არის კოლეჯის წარმომადგენელი;
15. კომისიის კომპეტენციაა საკვალიფიკაციო გამოცდის დადებითი შედეგების საფუძველზე შუამდგომლობით მიმართოს დირექტორს სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე;
16. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა;
17. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით;
18. კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის არყოფნის შემთხვევაში, დანარჩენი წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს და მდივანს;
19. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა;
20. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი;
21. კომისიის წევრი უფლებამოსილია საკუთარი განსხვავებული პოზიცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში, წერილობით დაურთოს ოქმს;

22. კომისიის მუშაობის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს კოლეჯის მიერ განსაზღვრული პირი/სამსახური;
23. საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა ამ (მეილი, ან შეხვედრა და სხვა) ფორმით;
24. ინფორმაციის მიღებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში სტუდენტს უფლება აქვს წერილობით გაასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილება;
25. საჩივრის განხილვას უზრუნველყოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სააპელაციო კომისია;
26. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია განიხილოს სტუდენტის საჩივარი და მიიღოს ერთერთი გადაწყვეტილება:
 - ა) საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ;
 - ბ) საკითხის საკვალიფიკაციო კომისიისათვის განსახილველად დაბრუნების შესახებ;
27. კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას საჩივრის შემოტანიდან ერთი თვის ვადაში;
28. საკვალიფიკაციო გამოცდაზე არგამოცხადების ან საკვალიფიკაციო კომისიის უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში სტუდენტი უფლებამოსილია ამ მუხლით დადგენილი პირობებითა და წესით გავიდეს განმეორებით (შეგიძლიათ დაარქვათ დამატებითი) საკვალიფიკაციო გამოცდაზე;
29. საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობა ან საკვალიფიკაციო კომისიის უარყოფითი გადაწყვეტილება წარმოადგენს სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების საფუძველს და აქვს უფლება გავიდეს შემდეგ დამატებით გამოცდაზე დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად საკვალიფიკაციო გამოცდაზე;
30. დამატებითი პირობები შესაძლებელია დაუუსტდეს დებულებით ან დირექტორის ბრძანებით.

თავი 8. შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია

13.1. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. მექანიზმი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, მასზე ხარისხის მართვის სამსახური არის პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირები იყვნენ ჩართულნი (განათლების/დარგის ექსპერტები, სოციოლოგი, და სხვა) ვერიფიკატორი არ უნდა იყოს ის პირი, რომელმაც ინსტრუმენტი შეიმუშავა ან მონაწილეობდა შემუშავების პროცესში. ხარისხის მართვის მენეჯერი დირექტორს მოხსენებითი ბარათით წარუდგენს ვერიფიკაციის გეგმის პროექტს და ვერიფიკაციის განხორციელებისათვის საჭირო სხვა დოკუმენტაციების პროექტებს (საჭიროების გათვალისწინებით) დასამტკიცებლად. დოკუმენტების განხილვის და დადებითი გადაწყვეტილების დირექტორი ქმნის ვერიფიკაციის ჯგუფს და განსაზღვრავს ჯგუფის ხელმძღვანელს, ჯგუფის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ხარისხის მართვის მენეჯერი, ან დირექტორის გადაწყვეტილებით მოწვეული სხვა პირი, ვერიფიკაციის ჯგუფი გეგმაში ასახული თარიღების დაცვით.

13.2. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; შეფასების პროცესის და შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. პროცესები ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ არის ორგანიზებული. ინსტრუმენტის და მტკიცებულების ვერიფიკაცია შერჩევითი პროცესია. რისკების ანალიზს აკეთებს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომლის საფუძველზე ახორციელებს ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირებას, სადაც შესაძლო შეუსაბამოების მაღალი ალბათობაა. ეს შეიძლება იყოს დამწყები მასწავლებლის ფაქტორი, მოდულის ფარგლებში პირველადი შეფასებისას ყველა სტუდენტს აქვს უარყოფითი შეფასება მიღებული, მოდულის ფარგლებში პირველადი შეფასებისას ყველა სტუდენტს აქვს დადებითი შეფასება მიღებული, სხვა. ვერიფიკაცია შეიძლება შერჩევითი პრინციპითაც

განხორციელდეს, მაგალითად ერთიდაიმავე ინსტრუმენტის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების საერთო რაოდენობის 20% პროცენტი და სხვა.

13.3. შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციას ახორციელებს დარგის სპეციალისტი/სპეციალისტები, ხოლო პროცესის ვერიფიკაციას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დარგის წარმომადგენელთან ერთად.

13.4. ვერიფიკატორი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულის და შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენას. შეფასების ინსტრუმენტი უნდა იყოს ვალიდური, რელევანტური, ტექნიკური თვალსაზრისით გამართულად, გასაგები ენით დაწერილი და უზრუნველყოფდეს მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურებას.

13.5. ვერიფიკაციით განისაზღვრება, შეესაბამება თუ არა შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულება იმ მიზანს, რომლისთვისაც ის შეიქმნა და აკმაყოფილებს თუ ვერიფიკაციის კითხვარში ჩამოთვლილ კრიტერიუმებს; შეფასების პროცესის ვერიფიკაცია უზრუნველყოფს, რომ შეფასების პროცედურები არის დაცული, თანმიმდევრული და გამჭვირვალე, ხოლო მტკიცებულებები სათანადოდაა აღრიცხული და შეფასება ობიექტურია.;

13.6.. ვერიფიკაციის ჯგუფის ყველა წევრს დოკუმენტები უნდა მიეწოდოს სრულად, რათა წევრებს ჰქონდეთ შესაძლებლობა გულდასმით გაეცნონ მათ. თითოეულმა მონაწილემ უნდა შევასოს ვერიფიკაციის კითხვარი აღნიშნული კითხვარი გამოყენებული იქნება, როგორც ინდივიდუალური კომენტარების საფუძველზე საერთო მოსაზრებების ფორმირებისა და გაზიარების საშუალება. შესაძლოა ვერიფიკატორმა არსებულ ჩამონათვალს თავისი კრიტერიუმიც დაამატოს.

13.7. ვერიფიკატორმა/ვერიფიკაციის ჯგუფმა განსაზღვრულ ვადაში უნდა:

- შეისწავლოს წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები/მტკიცებულებები/შეფასების პროცესის დადასტურებელი სხვა დოკუმენტები;
- საჭიროების შემთხვევაში შეხვდნეს შეფასების ინსტრუმენტების შემმუშავებელს, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის თანამშრომლებს და სხვა ჩართულ მხარეებს.
- განიხილონ გადასაწყვეტი საკითხები;
- უნდა შეთანხმდნენ შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების საბოლოო კომენტარებზე.

13..8. მნიშვნელოვანია, რომ ვერიფიკაციის ყველა წევრს მონაწილეობის ერთნაირი შესაძლებლობა მიეცეს, რათა რომელიმე პირი არ დომინირებდეს.

13.9. განსახილველ საკითხებზე შეთანხმების პროცესში მნიშვნელოვანია, რომ სრულად იქნას გამოყენებული ვერიფიკაციის ჯგუფის ყველა მონაწილის კომპეტენცია და შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის ყველა კრიტერიუმის საფუძველზე კომპლექსურად და ობიექტურად განხორციელდეს. ვერიფიკაციის ჯგუფის თითოეული წევრის მიერ შევსებული ვერიფიკაციის კითხვარის შედეგები შეჯამდება. თითოეული დაასახელებს იმ საკითხ(ებ)ს, რომლებიც გარკვევას და განხილვას საჭიროებენ.

13..10. ვერიფიკაციის ჯგუფი განიხილავს თითოეულ საკითხს, თანხმდება ერთიან პოზიციაზე და დასკვნაში ხდება შეჯერებული აზრის დაფიქსირება.

12.11 ვერიფიკაციის პროცესი უზრუნველყოფს, რომ შეფასებისა და შემოწმების (ვერიფიკაციის) ჩანაწერები ხელმისაწვდომია როგორც თავად შეფასების განმახორციელებელი ორგანიზაციისათვის გასაანალიზებლად, ასევე შეფასების პროცესის გარე შემოწმებაზე (ვერიფიკაციაზე) პასუხისმგებელი ორგანიზაციისთვის;

13.12. შიდა შემმოწმებლებმა (ვერიფიკატორებმა) დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერს გადასცეს შეფასებისა და შემოწმების (ვერიფიკაციის) ზუსტი ჩანაწერები ;

12.13. ვერიფიკაციის დროს გამოვლენილი ხარვეზების/შენიშვნების/რეკომენდაციების დადგენის შემდეგ ხდება შეჯამებული პოზიციის გაცნობა შეფასების ინსტრუმენტების შემმუშავებელი ჯგუფისათვის/სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისთვის და დაწესებულების სხვა პერსონალისათვის, მათი შემდგომი განვითარებისათვის;

13.14. ვერიფიკაციის პროცესის დასრულების შემდგომ დგება ვერიფიკაციის ანგარიში.

13.15.განმეორებითი ვერიფიკაცია საჭიროა, როდესაც ხდება ახალი შეფასების ინსტრუმენტების შექმნა ან არსებულ შეფასების ინსტრუმენტში ცვლილებების შეტანა.

13.16.შეფასების ინსტრუმენტების ცვლილების ინიცირების საფუძველი ასევე შეიძლება გახდეს შეფასების პროცესის ანალიზის შედეგები.

13.17.შეფასების ინსტრუმენტის გადახედვა შესაძლებელია ინიცირების საფუძველზე. ინიცირების უფლება აქვს ხარისხის მართვის მენეჯერს, შიდა ვერიფიკაციის ჯგუფს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, პროგრამის განმახორციელებელ პირს.

13.18.ცვლილებების განხორციელების დროს შეფასების ინსტრუმენტებმა თავიდან უნდა გაიაროს ვალიდაცია.

13.19.ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, შიდა ვერიფიკატორებმა (შემმოწმებლებმა) არ უნდა მიიღონ მონაწილეობა იმ შეფასების ინსტრუმენტის შექმნაში, ვალიდაციაში და შეფასების გადაწყვეტილებებში, რომელშიც ისინი თავად იყვნენ ჩართულები. მათ ასევე უნდა იზრუნონ შეფასებების ხარისხზე და არ უნდა დაუშვან, რომ გადაწყვეტილებაზე გავლენა მოახდინოს ნებისმიერმა სხვა ფაქტორმა ან პირადმა ემოციებმა (მოწონება ან არმოწონება). მათ ასევე უნდა ჰქონდეთ საკმარისი დრო, რესურსი და ორგანიზაციის ფარგლებში საკმარისი ავტორიტეტი, რომ საკუთარი როლი ეფექტურად შეასრულონ.

13.20.ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის დასკვნაში, დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული პროფესიულ სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ანგარიში აუცილებლად უნდა მოიცავდეს როგორც პროცესის აღწერას, შედეგებს და შეფასებებს, ასევე პროცესის გაუმჯობესების რეკომენდაციებს, სამოქმედო გეგმის პროექტს, ანგარიშს ხელს აწერს პროცესის პასუხისმგებელი და მონაწილე პირ(ებ)ი; ხარისხის მართვის სამსახური ვერიფიკაციის ანგარიშს მოხსენებითი ბარათით წარუდგენს დირექტორს;

13.1.ვერიფიკაციის შედეგების განხილვა ხდება დაწესებულებაში, განხილვაში მონაწილეობა შეუძლია, როგორც დაინტერესებულ პროფესიულ მასწავლებლებს, ასევე სხვა პირებს, შეიძლება შეხვედრაზე მოწვეული იქნას დარგის ექსპერტები, დამსაქმებლები, პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციები და სხვა.

13.22. დასკვნის განხილვისა და ანალიზის შედეგად განხილვაში ჩართულმა მხრეებმა უნდა შეაჯერონ პრობლემების აღმოფხვრის გზები. თუ საჭიროა რეგულაციებშიც განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები.

13.23. დაწესებულება დასკვნის და დასკვნის განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმაში სრულყოფილად უნდა ასახოს ყველა ის განსახორციელებელი აქტივობა რის განხორციელებასაც აპირებს დასკვნაში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად. სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული უნდა იყოს: განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. ეს შესაძლოა გახდეს წლიური გეგმის ნაწილი, თუ ფართო მასშტაბის საკითხს ეხება. თუ ინდივიდუალურ მასწავლებელს/მოდულს ეხება, შესაძლოა ცალკე გაიწეროს. დაწესებულებამ უნდა მოახდინოს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ჩატარება.

13.24. ვერიფიკაციის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შესაძლოა ვერიფიკაციის პროცესი შეიცვალოს და გაჩნდეს ახალი რეგულაციები, რაც დამტკიცდება დირექტორის ბრძანებით.

გარემოება	შესაძლო რისკი	კოეფიციენტი
მაგ. დამწყები მასწავლებლის ფაქტორი	დაწესებულების მოსაზრება, რა შეიძლება იყოს შესაძლო რისკი	გარემოებები შესაძლოა დაიყოს შედარებით დაბალ, საშუალო, მაღალ და კრიტიკულ კოეფიციენტებად და მათ მიენიჭოთ შესაბამისი ქულები. მაგალისთვისთვის: დაბალი 1 ქულა, საშუალო 2 ქულა, მაღალი 3 ქულა, კრიტიკული 4 ქულა.

დანართი 2

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესი

ეტაპზე პასუხისმგებელი

მონაწილე

ინფორმირება

პროცესის ეტაპი/ პასუხისმგებელი/ მონაწილე	ხარისხის სამსახური/ მენეჯერი	ვერიფიკატორი (განათლებლა)	ვერიფიკატორი (დარგი)	ინსტრუმენტის შემდგენელი	შემფასებელი	სტუდენტი	სასწავლო პროცესის სამსახური/ მენეჯერი/ პროფესორი	დაწესებულების ხელმძღვანელი
ვერიფიკაციის გეგმის შედგენა								
ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევა								
ვერიფიკატორების შერჩევა								
ვერიფიკატორების ინსტრუქტაჟი								
შესამოწმებელ მტკიცებულებათა იდენტიფიცირება								
შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების გამოთხოვა								
ინსტრუმენტის შეფასების მიმართულებასთან შესაბამისობის დადგენა								
ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით								
მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება								
მტკიცებულებათა მიხედვით შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემოწმება								
მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება								
მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება								

შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება								
წინასწარი ინფორმირების ფაქტის გადამოწმება მექანიზმის შესაბამისად								
შეფასების დროის საკმარისობის შეფასება								
შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება								
შეფასებისას გამოსაყენებელი აღჭურვილობის ადეკვატურობის შეფასება								
შეფასებისას გამოსაყენებელი მასალების და ნედლეულის ადეკვატურობის შეფასება								
შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება								
მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით								
ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენა								
ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის ორგანიზება, შეთანხმება ფაქტობრივ გარემოებებზე								
შეთანხმება რეკომენდაციებზე (საჭიროების შემთხვევაში)								
ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შედგენა								
რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში)								
ანგარიშგება რეკომენდაციების შესრულების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში)								
რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში)								

დანართი 3

ვერიფიკაციის დასკვნა

მოდული/სწავლის შედეგი -----

შემფასებელი -----

შეფასების პერიოდი -----

ვერიფიკატორი -----

ვერიფიკაციის ჩატარების პერიოდი -----

ტემის ილი	შემოწმების მიდგომა	ინდიკატორი	დიახ/ არა	მტკიცებულება არას შემთხვევაში	რეკომენდაცია
ვალიდურობა					
შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.					
შეფასების ინსტრუმენტი	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა სპეციალისტის მიერ	შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი არის მოდულით განსაზღვრული შეფასების მიმართულების შესაბამისი			
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასების ინსტრუმენტის შინაარსი სრულფასოვნად აფასებს შესაფასებელ სწავლის შედეგებს, მოდულით დადგენილი ყველა კრიტერიუმის მიხედვით.			
დამოუკიდებლობა					
შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.					
შეფასების მტკიცებულება	მტკიცებულებათა შესწავლა სპეციალისტის მიერ	ყველა სწავლის შედეგისათვის, თითოეული შეფასებული პირისათვის არსებობს მტკიცებულება			
	მტკიცებულებათა შესწავლა სპეციალისტის მიერ	მტკიცებულება ავთენტურია, ანუ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შესაფასებელი პირის იდენტიფიცირება			
	მტკიცებულებათა შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ	მტკიცებულება საკმარისია, ანუ მტკიცებულების მიხედვით შესაძლებელია დარწმუნება, რომ დავალება ყველა კრიტერიუმს შეესაბამება			
	მტკიცებულებათა შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ	მტკიცებულება ვალიდურია, ანუ ასახავს იმას, რაც უნდა შეფასებულიყო			
გამჭვირვალობა					
შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის.					

შეფასების პროცესი	შეფასების რეგულაციის ან/და შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში)	რეგულაცია ითვალისწინებს შეფასების შესახებ შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმს			
	შეფასებული პირის ინტერვიუება, სხვა მტკიცებულება	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება იმგვარად, რომ არსებობს ამისი მტკიცებულება			
	შეფასებული პირის ინტერვიუება	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრული ვადების გათვალისწინებით, და ფორმით რათა სტუდენტმა შეძლოს ამ ინფორმაციის გამოყენება (არ უნდა მოხდეს ძალიან ადრე, რომ არ დაავიწყდეს. არ უნდა მოხდეს ყველა შეფასების პროცესის შესახებ ერთდროულად, რათა ვერ განასხვავოს)			
	შეფასებული პირის ინტერვიუება	წინასწარი ინფორმირება ხორციელდება გონივრული ვადების გათვალისწინებით, რათა სტუდენტმა შეძლოს შეფასების პროცესისათვის ტექნიკური მომზადება			
	შეფასებული პირის ინტერვიუება	რეგულაციით გათვალისწინებული მექანიზმი სტუდენტის წინასწარი ინფორმირების თაობაზე პრაქტიკულად ხორციელდება			

შარტლიანობა

შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, ჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.

შეფასების პროცესი	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასებისათვის გამოყოფილი დრო საკმარისია			
-------------------	--	--	--	--	--

	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასება შესაბამის გარემოშია დაგეგმილი			
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფა			
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი მასალებით უზრუნველყოფა			
	შეფასებული პირის ინტერვიუება, შეფასების პროცესზე დასწრება ან ჩანაწერის ნახვა (შესაძლებლობის შემთხვევაში).	შეფასების პროცესი განხორციელდა განსაზღვრული პირობების დაცვით			

იექტურობა

შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად ასევე შეფასებული.

შეფასების პროცესი	შეფასების მტკიცებულებათა და უწყისების შესწავლა	ერთნაირად შესრულებული ყველა დავალება ერთნაირადაა შეფასებული			
		სხვადასხვა დონეზე (კრიტერიუმებთან შესაბამისობის მიმართებით) შესრულებული დავალებები სხვადასხვაგვარადაა შესრულებული			

თავი 9. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება

1. პირის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
2. პირის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარებას მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, ახდენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
3. განათლების აღიარებისასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე დებულებით, საჭიროების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგულირდება დირექტორის ბრძანებით.

თავი 10 . კვალიფიკაციის მინიჭების კრიტერიუმები

1. კვალიფიკაცია ენიჭება პროფესიული სტუდენტს შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების დამლევის შემთხვევაში.
2. სწავლის შედეგების დამლევის დადასტურებას ახორციელებს დირექტორის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია.

თავი 12 . კვალიფიკაციის მინიჭება

1. პროფესიული კვალიფიკაცია – პროფესიული ცოდნისა და უნარების ფლობა, რაც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დიპლომით და დანართით;
2. კომისია შეისწავლის თითოეული პროფესიული სტუდენტის პირად საქმეს, მიღებულ შეფასებებს, და ადგენს სწავლის შედეგების დადასტურების საკითხს.
3. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებულ უნდა იქნას მოდულებით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი და პროგრამით გათვალისწინებული დამატებითი პირობა -საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება;
4. კომისიის მუშაობის ამსახველი ოქმი წარედგინება დირექტორს.
5. კომისიის ოქმის საფუძველზე დირექტორი გამოსცემს ბრძანებას შესაბამისი პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.
6. დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების განუყოფელი ნაწილია კომისიის სხდომის ოქმი.
7. დირექტორის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე დაწესებულება ამზადებს და გასცემს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომს და დანართს, რომლის ნიმუშიც დამზადებულია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობების და პროცედურების დაცვით და შეთანხმებულია შესაბამის ორგანოებთან.
8. დიპლომის აღრიცხვა ხდება შესაბამის ჟურნალში.

თავი 13. მატერიალური რესურსების გამოყენების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. შპს სიოს(შემდგომში -კოლეჯის) საგანმანათლებლო საქმიანობა უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით ;
- 1.2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
- 1.3. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
- 1.4. დაწესებულებაში სასწავლო პროცესი მუდმივად უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური რესურსით, საჭირო მასალებითა და ნედლეულით ;
- 1.5. კოლეჯის გარეთ, პარტნიორ ორგანიზაციაში პრაქტიკული კომპიონენტის განხორციელებისას მატერიალურ-ტექნიკური რესურსით უზრუნველყოფას, მასალა-ნედლეულით მომარაგებას

ახორციელებს ან კოლეჯი, ან პარტნიორი დაწესებულება, და ეს ვალდებულებები აისახება შესაბამის ხელშეკრულებაში;

1.6. კოლეჯი სისტემატურად ახორციელებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში მის განვითარებას;

1.7. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

1.8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

1.9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების და ვენტილაციის შესაძლებლობა;

1.10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

1.11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

მუხლი 2. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის/პროექტის შენახვისა და განკარგვის წესი და სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია

2.1. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი/პროექტი წარმოადგენს შეფასების მტკიცებულებას და ინახება კოლეჯში უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით ან რჩება კოლეჯში საგანმანათლებლო მიზნებისათვის ან გადაეცემა ავტორს;

2.2. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი, რომელიც არის მალფუჭებადი (მაგალითად სითხოვანი, მყარი და რბილი წამლის ფორმები და სხვა) და განკუთვნილია კონკრეტული მოდულის შედეგის დადასტურებისათვის, ასეთი შემთხვევებისთვის შესრულების მტკიცებულებების დასადასტურებლად კონკრეტული პროდუქტისათვის ივსება სპეციალური ფორმულარი (ფორმულარში მითითებულია მოდული, შედეგი, შემსრულებელი, მოდულის განმახორციელებელი პირი, რიცხვი და სხვა) და ხდება პროდუქტის ფოტოგრაფირება. ფორმულარი ფოტომასალასთან ერთად კოლეჯში უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით ან რჩება კოლეჯში საგანმანათლებლო მიზნებისათვის ან გადაეცემა ავტორს

2.3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას შექმნილი ელექტრონული პროდუქტი (თუ ეს დაკავშირებულია შედეგის დადასტურებასთან, ანუ წარმოადგენს მტკიცებულებას), უნდა ჩაიწეროს ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე და ინახება კოლეჯში უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით/ან ინახება/სურვილის შემთხვევაში ასლი გადაეცემა კურსდამთავრებულს

2.4. სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის/პროექტის შენახვისას შესაძლებელი უნდა იყოს მისი ავტორ(ებ)ის/შემქნელ(ებ)ის იდენტიფიკაცია

2.5. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის (მათ შორის ელექტრონული სახით) განადგურებისათვის, მისი განმკარგავი პირი (წარუდგენს დირექტორს მოხსენებით ბარათს, რის

საფუძველზეც დირექტორი გამოსცემს ბრძანებას;

- 2.6. სასწავლო მიზნებისათვის ორგანიზებულ პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში უტილიზაცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიაღწეს გარემოს და გარშემო მყოფ პირებს;
- 2.7. ნარჩენები, რომელიც წარმოდგენილია ქაღალდის სახით, შეგროვდება შესაბამის სათავსოში, მოხდება რეგულარულად მათი ჩაბარება მაკულატურის სახით
- 2.8. სასწავლო პროცესის მსვლელობისას ნარჩენების შეგროვებაზე და უტილიზაციაზე ასუბისმგებლობა ეკისრება შესაბამისი მოდულის განმახორციელებელს/სპეციალურ სამსახურს(საჭიროების მიხედვით);
- 2.9. ნარჩენები, რომელიც საფრთხეს არ უქმნის გარემოს და გარეშე პირებს, არ იწვევს დაბინძურებას გადაიყრება შესაბამის მუნიციპალურ ნაგავსაყრელში.

მუხლი 3. ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები

- 3.1. კოლეჯში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით უზრუნველყოფას.
- 3.2. კოლეჯში ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო ასევე კაბელიანი ინტერნეტი,
- 3.3. კოლეჯი საჭიროების შესაბამისად ახორციელებს საინფორმაციო რესურსების განახლებას;
- 3.4. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
- 3.5. საგანმანათლებლო სივრცეები აღჭურვილია A,B C, გარემოს მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად
- 3.6. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს საინფორმაციო სამსახურის მენეჯერი, რომელიც აკონტროლებს როგორც ტექნიკურ გამართულობას, ასევე ხდენს შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას.
- 3.7. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას, რისთვისაც ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას,
- 3.8. კოლეჯის კომპიუტერები უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით და ვირუსისგან დამცავი სისტემით.
- 3.9. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
- 3.10. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით
- 3.11. დაწესებულება ახალი თანამშრომლის სამსახურში მიღების ან სტუდენტის/მსმენელის რეგისტრაციის მომენტში ახორციელებს ინფორმირების ერთიანი საკომუნიკაციო ბაზების შევსებას, საჭიროების შემთხვევაში ელექტრონული ფოსტის მისამართების გახსნის მომსახურებას
- 3.12. თანამშრომელი სამსახურში მიღების ან სტუდენტი/მსმენელი რეგისტრაციის მომენტში ხელს აწერს თანხმობას, რომ მის მიერ მითითებული ელექტრონული მისამართი წარმოადგენს მასსა და კოლეჯს შორის ინფორმაციის მიმოცვლის ოფიციალურ გზას და აღნიშნულ მისამართზე კოლეჯის მხრიდან გაგზავნილი ყველა სახის ინფორმაცია ჩაითვლება მიწოდებულად.
- 3.13. თანამშრომელი სამსახურში მიღების ან სტუდენტი/მსმენელი რეგისტრაციის მომენტში განცხადებაზე ხელმოწერით იღებს ვალდებულებას, რომ ელექტრონული ფოსტის ცვლილების შემთხვევაში არაუგვიანეს ერთი დღისა შეატყობინებს კოლეჯს აღნიშნულის შესახებ.
- 3.14. საინფორმაციო სამსახურის მენეჯერი სამოქმედო გეგმის/დირექტორის მოთხოვნის შესაბამისად წერს ანგარიშს.

მუხლი 4. საინფორმაციო ტექნოლოგიების შეფასება და IT რისკების მართვა

- 4.1. კოლეჯი სისტემატიურად ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების მონიტორინგს, რაც გულისხმობს როგორც მათ ტექნიკურ შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში შეუსაბამოების აღმოფხვრას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას.
ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ხორციელდება რისკების მართვა, რაც აერთიანებს კოლეჯის პასუხისმგებელი პირების გადაწყვეტილებებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციის სტრატეგიულ დაგეგმვა, მმართველობასა და ყოველდღიურ ოპერირებაზე.
 - ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვა არის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის განუყოფელი ნაწილი და უწყვეტი პროცესი.

- ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვა გულისხმობს რისკების დასაშვებ დონეზე დაყვანისათვის რისკების მართვის ანალიზს, რეაგირების არქონის შემთხვევაში შესაძლო უარყოფით მოვლენებს და განსაზღვრავს
- ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვა გულისხმობს:
- რისკების იდენტიფიცირებას;
- რისკების შეფასებას იმისდა მიხედვით, თუ რა შედეგები მოყვება მათ კოლეჯის ფუნქციონირებასთან მიმართებაში და მათი ხდომილების ალბათობა;
- ამ რისკების დადგომის ალბათობას და მათ შესაძლო შედეგებს, მათ შესახებ ინფორმირებულობის არსებობას;
- რისკებთან მოპყრობის პრიორიტეტულობის დადგენას;
- რისკების მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართული დაინტერესებული პირები და მათი ინფორმირებულობა რისკების მართვის სტატუსის შესახებ;
- რისკებისა და რისკების მართვის პროცესის რეგულარულ მონიტორინგსა და განხილვას
- რისკების მართვისადმი მიდგომის გაუმჯობესების მიზნით საჭირო ინფორმაციის შეგროვებას;
- თანამშრომლების ინფორმირებულობას რისკებისა და მათი შემცირების შესახებ.

4.6. რისკების შეფასება განსაზღვრავს ინფორმაციული აქტივების ფასულობას, ახდენს მოსალოდნელი საფრთხეების და არსებული (ან შესაძლო) სუსტი წერტილების, უარყოფითი შედეგების იდენტიფიცირებას, განსაზღვრავს არსებულ კონტროლის მექანიზმს და მის გავლენას აღმოჩენილ რისკებზე, ასევე განსაზღვრავს პოტენციურ უარყოფით შედეგებს და საბოლოოდ ანიჭებს პრიორიტეტებს გამოვლენილ რისკებს და ახდენს მათ კლასიფიცირებას კონკრეტულ გარემოში.

4.7. რისკების შეფასება წარმართება განმეორებად ციკლად.

4.8. რისკის კონტროლი გულისხმობს შემდეგი ტიპის დაცვის მექანიზმების უზრუნველყოფას: აღმოჩენა, აღდგენა, შესწორება, განადგურება, თავიდან არიდება, გავლენის შემცირება, მონიტორინგი და ინფორმირებულობა.

4.9. კოლეჯი უზრუნველყოფს ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვის პროცესისა და მასთან დაკავშირებული ქმედებების შესატყვისობას მოცემულ მომენტში არსებულ ვითარებებთან.

4.10. იდენტიფიცირებულია კოლეჯისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის განთავსების ადგი და უზრუნველყოფილია ამ ინფორმაციის დაცულობა. დაცულობაზე პასუხისმგებელი პირია ოფისის მენეჯერი, რომელიც სისტემატიურად იღებს რეკომენდაციებს საინფორმაციო სამსახურის მენეჯერისგან.

4.11. ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვის მთელი პროცესის განმავლობაში ხდება კომუნიკაცია რისკებსა და მათთან მოპყრობას შორის, ასევე შესაბამის თანამშრომლებს შორის.

4.12. საინფორმაციო სამსახურის მენეჯერი უზრუნველყოფს საჭიროების შესაბამისად კოლეჯის თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა ტრენინგს ინფორმაციული რისკებისა და მათი მართვის შესახებ. კოლეჯის თანამშრომლების ინფორმირებულობა ორგანიზაციის რისკების შესახებ, რისკების და პრობლემური საკითხების შემცირების კონტროლის მექანიზმის შესახებ ხელს უწყობს ინციდენტების და მოულოდნელი შემთხვევების ეფექტურ აღმოფხვრას.

4.13. საინფორმაციო სამსახურის მენეჯერი უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკის მუდმივ შესაბამისობად საგანმანათლებლო პროცესებთან და ინფორმაციის დაცულობას. საჭიროების შემთხვევაში IT სპეციალისტი წრადგენს ანგარიშს.

მუხლი 5 კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის ინსტრუქცია

5.1. კომპიუტერული ტექნიკით მოსარგებლე ვალდებულია:

- კომპიუტერის გამოყენების შემდეგ გათიშოს ქსელიდან წესების დაცვით;
- არ გამოიყენოს კომპიუტერული პროგრამების არასასწავლო მიზნებისათვის;
- არ მიიღოს საჭმელი კომპიუტერულ კლასში. ნებადართულია მხოლოდ ბოთლში ჩამოსხმული სასმელი წყალი;
- დაიცვას კომპიუტერულ კლასში სიწყნარე;
- არ დაუშვას კომპიუტერულ კლასში მოწევა ან რაიმე ცეცხლის გაჩენის მაპროვოცირებელი მოქმედების ჩადენა ;
- არ დაფხაჭნოს და არ დააზიანოს კომპიუტერის ეკრანი, ქეისი თუ სხვა აქსესუარები

5.2. ელექტროდენით დაზიანების თავიდან აცილებისათვის იკრძალება:

- ა.) კომპიუტერის ხშირი ჩართვა გამორთვა;
- ბ.) კომპიუტერის ეკრანზე და ბლოკის ზურგის მხარეს შეხება;
- გ.) კომპიუტერთან და პერიფერიულ მოწყობილობებთან მუშაობა სველი ხელებით;
- დ.) მუშაობა კომპიუტერულ მოწყობილობასთან, რომელსაც დარღვეული აქვს კორპუსის მთლიანობა, სადენების იზოლაცია;
- ე.) ელექტროქსელში ჩართულ პრინტერზე კარტრიჯის შეცვლა;
- ზ.) კომპიუტერულ მოწყობილობებზე უცხო საგნების დაწყობა.

5.3. აღნიშნული წესების დარღვევა გამოიწვევს გაფრთხილებას

5.4. კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის წესს ეცნობა კოლეჯის ყველა თანამშრომელი და პროფესიული სტუდენტური/მსმენელი. საგანმანათლებლო პროცესის დროს წესების დაცვას უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი პირი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი;

5.5. სასწავლო პროცესის მიღმა კომპიუტერული კლასით სარგებლობა დასაშვებია მხოლოდ დირექტორის ნებართვით საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მეთვალყურეობით.

მუხლი 6. პერსონალურ მონაცემთა დაცვა

- 6.1. კოლეჯი მკაცრად იცავს პერსონალური ინფორმაციის უსაფრთხოებას და კონფიდენციალობას.
- 6.2. პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია იდენტიფიცირებული ან იდენტიფიცირებადი ფიზიკური პირის შესახებ. კოლეჯი ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს საგანმანათლებლო მიზნებისთვის, რაც ნიშნავს მათ მოგროვებას, კანონიერ საფუძველზე დამუშავებას, გამოყენებას, წარდგენას.
- 6.3. მონაცემთა დამუშავება არის ნებისმიერი ქმედება, რომელიც პერსონალური მონაცემების მიმართ ხორციელდება: შეგროვება, ჩაწერა, შენახვა, გამოყენება, გამჟღავნება, ფოტოზე აღბეჭდვა, მესამე პირისთვის გადაცემა, გავრცელება, წაშლა, განადგურება და სხვა.
- 6.4. კოლეჯი მონაცემების დამუშავებისას იცავს შემდეგ პრონციპებს:
 - სამართლიანობა და კანონიერება - პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, პიროვნების ღირსების შეუღახავად;
 - მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნის არსებობა - აუცილებელია, არსებობდეს კონკრეტული მიზანი, რისთვისაც ხდება მონაცემთა დამუშავება. სხვა მიზნებით მონაცემების გამოყენება დაუშვებელია.
 - პროპორციულობა და ადეკვატურობა - მონაცემები უნდა დამუშავდეს იმ მინიმალური მოცულობით, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების კონკრეტული მიზნის მისაღწევად; თავად მონაცემებიც, ამ მიზნის შესაბამისი უნდა იყოს.

- ნამდვილობა და სიზუსტე - მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი და ზუსტი, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განახლდეს, ასევე, უნდა გადამოწმდეს ინფორმაციის წყაროს სანდოობა, გასწორდეს მცდარი და არაზუსტი მონაცემები;
- შენახვის ვადა - პერსონალური მონაცემები უნდა ინახებოდეს კანონით განსაზღვრული ვადით ან იმ ვადით, რაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად. მიზნის მიღწევის შემდეგ, ისინი უნდა წაიშალოს, ან შეინახოს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.

6.5. მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ:

ა) არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა - პირის ნებაყოფლობითი, ინფორმირებული და მკაფიოდ გამოხატული თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. მაგალითად, დათანხმება ვებგვერდზე განთავსებულ კონფიდენციალურობის პოლიტიკაზე, ან ხელმოწერა ხელშეკრულებაზე, რომელშიც განმარტებულია რა მონაცემებს გროვდება რა მიზნებით და სხვა.

ბ) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;

გ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად ;

დ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად ან მისთვის მომსახურების გასაწევად.

ე) და სხვა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში

6.6. კოლეჯი აგროვებს მხოლოდ ისეთ პერსონალურ მონაცემებს, რომელიც აუცილებელია კონკრეტული საგანმანათლებლო მიზნებისთვის .კოლეჯი აგროვებს, ინახავს და იყენებს შემდეგი კატეგორიის ინფორმაციას:

- პერსონალური დეტალები, როგორიცაა სახელი და ტიტული
- საკონტაქტო მონაცემები, როგორიცაა ელ. ფოსტა და ტელეფონის ნომერი
- ინფორმაცია კვალიფიკაციის, უნარების, გამოცდილებისა და დასაქმების ისტორიის შესახებ

6.7. ამ ინფორმაციის შეგროვება ხდება სხვადასხვა გზებით. მაგალითად, მოხდეს ინფორმაციის ამოღება სააპლიკაციო ფორმიდან, CV ან რეზიუმედან, პირადობის მოწმობიდან, პასპორტიდან ან სხვა საიდენტიფიკაციო დოკუმენტიდან, ან ინფორმაციის ჩაწერა ინტერვიუს მიმდინარეობისა ან სხვა ფორმის შეფასებითი ხასიათის შეხვედრიდან.

6.8. კოლეჯმა შესაძლოა მოაგროვოს პერსონალური მონაცემები მესამე მხარისაგან, მაგალითად რეკომენდაციის მიღებისას ყოფილი დამსაქმებლისგან.

6.9. კოლეჯი იყენებს პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ კანონით დაშვებულ შემთხვევებში საგანმანათლებლო პროცესის მართვის, შეფასებისა და კონკრეტული პირის დასაქმებისთვის შესაბამისობის დადგენის დროს, ხელშეკრულების გაფორმების დროს.

6.10. მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთანავე , მას ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

6.11. პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის ზომები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

- 7.1. კოლეჯმა კანონმდებლობის თანახმად მონიტორინგის განხორციელების მიზნით შესაძლოა განახორციელოს თავისი ფართის ვიდეოთვალთვალს, რაც განპირობებულია უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისაგან დაცვისა მიზნებისათვის.
- 7.2. ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით განხორციელდება მხოლოდ შესასვლელის/ფოიეს მონიტორინგი.
- 7.3. შესაძლებელია სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის სისტემის დაყენება თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნებისათვის
- 7.4. ვიდეოთვალთვალის განხორციელება დაუშვებელია გამოსაცვლელ ოთახებსა და ჰიგიენისათვის განკუთვნილ ადგილებში.
- 7.5. დაწესებულებაში დასაქმებული ყველა პირი წერილობითი ფორმით არის ინფორმირებული ვიდეოთვალთვალის განხორციელებისა და თავისი უფლებების შესახებ.
- 7.6. კოლეჯს შექმნილი აქვს ვიდეოჩანაწერების შენახვისათვის განკუთვნილი ფაილური სისტემა. ჩანაწერების (სურათები / ხმა) გარდა, რაც შეიცავს ინფორმაციას მონაცემთა შენახვის თარიღის, ადგილისა და დროის შესახებ.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1 ცვლილებს ან/და დამატებას ამტკიცებს დირექტორი ბრძანებით.

თავი 14. სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალების შეძენა, ნედლეულის შენახვის და გახარჯულის აღრიცხვის პროცედურა და სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესი

მუხლი 1. სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალების შეძენა, ნედლეულის შენახვის და გახარჯულის აღრიცხვის პროცედურა

1. მოდულურ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების მასალებისა და ნედლეულის ნაწილის გათვალისწინებით სამეურნეო სამსახურის მენეჯერი დირექტორის დავალებით ახორციელებს მასალებისა და ნედლეულის შესყიდვას მოდულის დაწყებამდე და მოდულის განმახორციელებელი პირისათვის გადაცემას;
2. თუ მოდულის პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება პრაქტიკის ობიექტზე კოლეჯი მასალებისა და ნედლეულის შეძენას იმ მოდულის ფარგლებში არ ახორციელებს.
3. მასალებისა და ნედლეულის შეძენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი ვარგისიანობის ვადა, მათი გამოყენების მომენტისათვის;
4. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება შესაბამის ინსტრუქციებში მითითებული შენახვის წესების დაცვით;
5. მოდულის დასრულებისას ბუღალტრის და სამეურნეო სამსახურის მენეჯერის მიერ მოდულის განმახორციელებელი პირების ჩართულობით ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება.

მუხლი 2. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია

1. სასწავლო მიზნებისათვის ორგანიზებულ ტექნოლოგიურ პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით ასეთის არსებობის შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში უტილიზაცია ხორციელდება იმგვარად, რომ ზიანი არ მიაღწეს გარემოს და გარშემო მყოფ პირებს;
2. კოლეჯის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვება ხდება სასწავლო სივრცეში სანაგვე კონტეინერებში;

ა) სახიფათო ნარჩენები(ასეთის არსებობის შემთხვევაში) დროებით ინახება კოლეჯის ტერიტორიაზე და შემდეგ ხდება წესების დაცვით უტილიზაცია,
ბ)უსაფრთხო ნარჩენები შეიძლება ჩაიყაროს მუნიციპალური ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში.

3. ნარჩენების შეგროვებაზე და უტილიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დაწესებულებას.

თავი 15. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

1. შპს სიოს (შემდგომში - კოლეჯი) ბიბლიოთეკა წარმოადგენს კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ასრულებს სასწავლო, ინფორმაციულ და საგანმანათლებლო ფუნქციებს, აქტიურად უწყობს ხელს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის, სასწავლო საქმიანობის მაღალ დონეზე წარმართვას.

2. ბიბლიოთეკაში არსებული ქონების დაცვა, მოვლა-პატრონობა სავალდებულოა ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომლისა და მკითხველისათვის.

3. კოლეჯის ადმინისტრაციას უფლება აქვს გაატაროს ამ წესითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს ან შინაგანაწესს და აყენებენ ზიანს ბიბლიოთეკაში არსებულ ქონებას.

4. ბიბლიოთეკის სამუშაო დღეებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10.00 სთ.-დან 19.00 სთ.- მდე. ბიბლიოთეკა არ მუშაობს შაბათ-კვირას და საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ უქმე დღეებში.

5. ბიბლიოთეკა განკუთვნილია კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და პერსონალის სარგებლობისათვის.

6. ბიბლიოთეკის რესურსებით სარგებლობის აუცილებელი წინაპირობაა ბიბლიოთეკაში გაწევრიანება.

7. ბიბლიოთეკაში გაწევრიანების პირობები:

ა) ბიბლიოთეკაში გაწევრიანება მოქმედებს სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტამდე/კვალიფიკაციის მინიჭებამდე; პერსონალისათვის გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტამდე;

ბ) მკითხველი ვალდებულია შეატყობინოს ბიბლიოთეკარს მისი სახელის, საკონტაქტო ნომრის, ელექტრონული ფოსტის მისამართის, საცხოვრებელი ადგილის/სამუშაო ადგილის მისამართის შეცვლის შესახებ.

გ) ბიბლიოთეკარი ბიბლიოთეკაში გაწევრიანების მსურველს წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე არეგისტრირებს ბიბლიოთეკის მკითხველად, რისთვისაც იგი ავსებს სპეციალურ ჟურნალს/ელექტრონულ ფაილს, სადაც შეიტანება ბიბლიოთეკაში გაწევრიანების მსურველი პირის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი მისამართი.

დ) ბიბლიოთეკაში გაწევრიანების მსურველი პირი ვალდებულია გაეცნოს ბიბლიოთეკის მუშაობის წესს, ამ წესით დადგენილ მკითხველის უფლება-მოავლეობებს;

ე) მკითხველის ბარათში ფიქსირდება მკითხველის მიერ ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანის ყოველი კონკრეტული შემთხვევა, წიგნის სრული დასახელების, გატანისა და დაბრუნების დროის ჩათვლით.

8. მკითხველი სასწავლო მასალის (წიგნი, ჟურნალი, ელექტრონული რესურსები, CD დისკზე ჩაწერილი ინფორმაცია და ა.შ.) მისაღებად, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგიდან ამოიწერს მასალის საიდენტიფიკაციო ნომერს და წარუდგენს /უგზავნის ბიბლიოთეკარს.

9. ბიბლიოთეკის ბეჭდური რესურსები ასევე გაიცემა ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში.

10. ბიბლიოთეკის ფონდში დაცული მასალა (წიგნი, ჟურნალი, გაზეთი,), რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ ერთი ეგზემპლარი, გამონაკლისის გარეშე, ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა. ასეთი მასალით მკითხველს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს მხოლოდ სამკითხველო დარბაზში, ან გადაიღოს ასლი.

11. მკითხველს შეუძლია ბიბლიოთეკიდან გაიტანოს რესურსი მხოლოდ ბიბლიოთეკარის/პასუხისმგებელი პირის წინასწარი ნებართვის საფუძველზე.

12. ბიბლიოთეკიდან მასალა გაიცემა არაუმეტეს ხუთი კალენდარული დღის ვადით.

13. ბიბლიოთეკიდან გატანილი მასალის დაბრუნების ვადის დადგომისთანავე, მკითხველი ვალდებულია მასალა დაუბრუნოს ბიბლიოთეკას. თუ დაბრუნების თარიღი ემთხვევა უქმე ან/და დასვენების დღეს, მკითხველმა მასალა უნდა დააბრუნოს მომდევნო სამუშაო დღეს. თუ მკითხველს მასალა კვლავაც სჭირდება, მას შეუძლია ის ხელახლა გაიტანოს ამ წესით დადგენილი ვადით, იმ შემთხვევაში, თუ მასალაზე არ შემოსულა სხვა განაცხადი.

14. თუ მკითხველი ვერ ახერხებს საბიბლიოთეკო მასალის დროულად დაბრუნებას ობიექტური მიზეზის გამო, იგი ვალდებულია იმავე დღეს შეატყობინოს ამის შესახებ ბიბლიოთეკას, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება რომ მკითხველმა არასაპატიო მიზეზით დაარღვია საბიბლიოთეკო მასალით სარგებლობის ვადები.

15. ბიბლიოთეკარს შეუძლია მოითხოვოს მასალის ვადაზე ადრე დაბრუნება. ასეთ შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია მასალა დააბრუნოს შეტყობინებიდან 24 საათის განმავლობაში.

16. ბიბლიოთეკის თანამშრომელი, რომელიც გასცემს მასალას დარბაზში სამუშაოდ ან ხელზე წასაღებად, ან იბრუნებს მასალას, ვალდებულია მკითხველთან ერთად შეამოწმოს მასალის მდგომარეობა. დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში ბიბლიოთეკარი ვალდებულია შეადგინოს ოქმი.

17. სამკითხველო დარბაზში არსებული კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი სასწავლო-საინფორმაციო დანიშნულებისაა. პირველ რიგში იგი განკუთვნილია ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში/საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში, ასევე ბიბლიოთეკის კატალოგში არსებული მასალის მოძიებისათვის. მკითხველებს უფლება აქვთ გამოიყენონ კომპიუტერები სასწავლო პროცესის მართვის სისტემის მეშვეობით საკუთარი კოლეჯიური მოსწრების შედეგების გაცნობისათვის; იმ შემთხვევაში, თუ მკითხველი არ ფლობს ტექნიკით სარგებლობის უნარ-ჩვევებს, ბიბლიოთეკარი ვალდებულია აღმოუჩინოს მკითხველს შესაბამისი დახმარება.

18. ბიბლიოთეკაში ქცევის წესებია:

ა) მკითხველი ვალდებულია მასალის მიღების დროს დაათვალიეროს მასალა, დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს უფლებამოსილ პირს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაზიანებულ მასალაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მკითხველს, რომელმაც ბოლოს ისარგებლა მასალით;

ბ) თითოეული მკითხველი პასუხისმგებელია პირად ქონებაზე. აღნიშნული ქონების უმეტესაწილად დატოვების ან დაკარგვის შემთხვევაში კოლეჯია იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. პირადი ნივთის დაკარგვისას მკითხველმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბიბლიოთეკარს;

გ) ბიბლიოთეკაში ქცევის წესების დარღვევას მოჰყვება მკითხველისათვის ბიბლიოთეკის წევრობის გაუქმება ან/და კოლეჯიაში დადგენილი პასუხისმგებლობის ზომის (სანქციის) შეფარდება.

19. ბიბლიოთეკაში აკრძალულია:

ა) მასალის გამოყენების შემდეგ მისი თვითნებურად თაროზე დადება;

ბ) ხმაური და საუბარი, მობილური ტელეფონების არამიზნობრივი გამოყენება(ხმამაღლა საუბარი, ვიდეო-აუდიო მასალის მოსმენა), ნებისმიერი ისეთი აქტივობა, რომელიც შეაწუხებს სხვა მკითხველს და ბიბლიოთეკის თანამშრომელს;

გ) ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსებით არადანიშნულებისამებრ სარგებლობა (ასეთად ჩაითვლება სხვადასხვა გასართობი ვებ-გვერდებით სარგებლობა, ფილმების,

მუსიკალური კომპოზიციების, თამაშების და სხვა მსგავსის ჩამოტვირთვა, კომპიუტერული ტექნიკის კონფიგურაციის შეცვლა და სხვა);

დ) მუსიკალური ინსტრუმენტების, ვიდეო კამერების გამოყენება, ალკოჰოლური სასმელების, საკვები პროდუქტების შეტანა;

ე) ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებით ბიბლიოთეკარის მოთხოვნის შეუსრულებლობა;

ვ) რესურსების დაზიანება.

20. გატანილი მასალის დაკარგვის შემთხვევაში მკითხველი იხდის ჯარიმას მასალის საბაზრო ღირებულების ოდენობით, ან ანაცვლებს სახელმძღვანელოს ახლით;

21. განსაზღვრულ ქცევაზე სანქცია განისაზღვრება კოლეჯის ეთიკის კოდექსის შესაბამისად.

22. ბიბლიოთეკარი ვალდებულია მოთხოვნისამებრ მომხმარებლებს მიაწოდოს ელექტრონული წიგნები/მასალების, ასევე საჭიროებისამებრ ბეჭდური სასწავლო რესურსები გააციფრულოს და მომხმარებლებს მიაწოდოს მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში;

23. ბიბლიოთეკარს უფლება აქვს არ გაატანოს მასალა იმ პირებს, რომლებიც შემჩნეულნი არიან მასალის დაგვიანებით დაბრუნებაში. შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში უნდა იყოს დასაბუთებული, ხოლო ინფორმაცია - ხელმისაწვდომი მკითხველისათვის.

24. ამ წესით განსაზღვრული დარღვევისათვის ბიბლიოთეკარი ადგენს შესაბამის ოქმს/მოხსენებით ბარათს.

თავი 16. საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. შპს სიო (შემდგომში კოლეჯი) თავისი ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, საზოგადოებაში მისი ცნობადობის ხარისხის ამაღლების მიზნით, გეგმავს და ორგანიზებას უწყევს სხვადასხვა სახის აქტივობებს.

2. კოლეჯი მუდმივად ანახლებს ინფორმაციას ოფიციალურ ვებ გვერდზე და ფეისბუქ გვერდზე.

მუხლი 2. საზოგადოებასთან ურთიერთობის განხორციელება

1. კოლეჯი თავისი საქმიანობის წარმოსაჩენად საჭიროების შესაბამისად ახორციელებს შემდეგ აქტივობებს:

- ავრცელებს კოლეჯის სახელით ოფიციალური მიმართვებსა და განცხადებებს;
- ხელს უწყობს პროფესიული განათლების/საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზებას;
- ხელს უწყობს კოლეჯის პროგრამის განმახორციელებელი პირების და პერსონალის პოპულარიზაციას;
- აორგანიზებს და აწყობს საზოგადოების წარმომადგენლების ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან შეხვედრებს;
- აწარმოებს შიდასაკოლეჯო კომუნიკაციას;
- გეგმავს კოლეჯში კულტურულ-შემოქმედებით, ექსტრაკურთულობით აქტივობებს ;
- მართავს კოლეჯის ვებგვერდს;
- მართავს ოფიციალურ ფეისბუქის გვერდს;
- აწყობს პრესკონფერენციებს/სემინარებს და სხვა ღონისძიებებს კოლეჯის საჭიროების შესაბამისად;
- საჭიროების შესაბამისად ამზადებს სარეკლამო მასალებს;
- ხელს უწყობს აპლიკანტების/მსმენელების/თანამშრომლების ინფორმირებას;

- ამყარებს პარტნიორულ ურთიერთობებს შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან, მოიძიებს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ კომპანიებს/ბაზებს და აფორმებს მათთან ხელშეკრულებებს/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებს;
 - ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა/პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებას, დამსაქმებლებთან დაკავშირებას.
 - ინფორმაციის გავრცელებისას იცავს პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.
 - აკონტროლებს, რომ გავრცელებული ინფორმაცია იყოს უტყუარი და არ იყოს შეცდომაში შემყვანი.
 - კოლეჯი სისტემატიურად ახდენს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში განხორციელებული უკუკავშირის ანალიზს, რათა გავლენილი შედეგები გამოიყენოს მისი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
2. აღნიშნული პუნქტების უზრუნველსაყოფად კოლეჯს ჰყავს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, რომელსაც ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი
 3. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის არყოფნის შემთხვევაში მოვალეობას ასრულებს კოლეჯის რომელიმე თანამშრომელი დირექტორთან შეთანხმებით, რომელსაც აქვს შესაბამისი კომპეტენცია.
 4. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ფუნქციები გაწერილია კოლეჯის თანამდებობრივ ინსტრუქციაში;
 5. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი კონკრეტული ღონისძიებიდან/აქტივობიდან გონივრულ ვადაში განათავსებს სათანადო ინფორმაციას ოფიციალურ ვებ-გვერდსა და ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე
 6. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი დირექტორთან შეთანხმებით ათავსებს მასალას კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდსა და ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე. შეთანხმება ხდება ზეპირსიტყვიერად
 7. ფოტო მასალის განთავსებისას იღებს ზეპირად წინასწარ თანხმობას მის გამოქვეყნებაზე ფოტოზე ასახული პირებისაგან.

თავი 17. პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები

1. შპს სიო (შემდგომში კოლეჯი) პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია პირველადი გადაუდებელი დახმარებისა და უსაფრთხოების სპეციალური პროგრამა-ტრენინგი, რომელიც უტარდება ყველა ახალ ნაკადს, მათ შორის პერსონალს, პრიფესიული განათლების მასწავლებლებს, სტუდენტებსა და მსმენელებს.

2. შპს სიო ში (შემდგომში - კოლეჯი) პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფის მიზნით განთავსებულია სამედიცინო პირველადი დახმარების ყუთი.

3. სამედიცინო ყუთი განთავსებულია სიოს მფლობელობაში არსებულ შენობაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას:

4. სამედიცინო ყუთი უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელი აღჭურვილობითა და რესურსებით.

5. კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს სამედიცინო პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო რესურსების და პირადი ჰიგიენის ნივთებით პერიოდულად მომარაგება.

6. პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია:

ა) თავად აღმოუჩინოს პირველადი გადაუდებელი დახმარება;

ბ) გამოიძახოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება (112) და ფაქტის შესახებ მოახდინოს პროფესიული სტუდენტის ოჯახის წევრის ინფორმირება.

7. თუ დაწესებულების პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ან თანამშრომელი ვერ ახერხებს დამოუკიდებლად მისვლას სამედიცინო ყუთამდე, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პასუხისმგებელ პირს, შრომის უსაფრთხოების და დაცვის მენეჯერი ვალდებულია არიან მიიყვანონ ეს პიროვნება სამედიცინო კაბინეტთან.

8. თუ დაწესებულების პროფესიული სტუდენტის ან თანამშრომლის ჯანმრთელობის მდგომარეობის სირთულიდან გამომდინარე ექვქვეშ დგება მისი გადაადგილების უსაფრთხოება, დაწესებულებაში მყოფ ნებისმიერ პირს უფლება აქვს აცნობოს პასუხისმგებელ პირს და სთხოვოს მას ადგილზე გასინჯვა. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს თხოვნა.

9. აუცილებლობის შემთხვევაში პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ უნდა გამოიძახოს სასწრაფო დახმარება.

10. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის გამოძახებისას, პასუხისმგებელმა პირმა ოპერატორს უნდა მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია, კერძოდ:

- საკუთარი ტელეფონის ნომერი;
- დაწესებულების მისამართი;
- რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე რამდენად სერიოზულია ის;
- დაზარალებულთა რაოდენობა, სქესი, ასაკი და ზოგადი მდგომარეობა;
- ნებისმიერი სხვა საჭირო ინფორმაცია.

11. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახებისას დაწესებულების პასუხისმგებელი პირი ვალდებულია პირველმა არ დაკიდოს ყურმილი, ვინაიდან შეიძლება ოპერატორმა დასვას დამატებითი შეკითხვები.